

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



ცივი ომის შემდგომი პერიოდი და
კონფლიქტების ტრანსფორმაცია

POST-COLD WAR PERIOD AND
CONFLICT TRANSFORMATION



სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



ცივი ომის შემდგომი პერიოდი და
კონფლიქტების ტრანსფორმაცია
POST-COLD WAR PERIOD AND
CONFLICT TRANSFORMATION

სარჩევი

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გაკვეთილები მაიორი შალვა გელაძე	6
კატარა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები (საქართველოს მაგალითი) ლევან ზოსიაშვილი	15
საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების მიმართულებები თანამედროვე სამხედრო შესაძლებლობების გათვალისწინებით მაიორი ზურაბ თათოშვილი	23
მეოთხე თაობის ომის მნიშვნელოვანი ასპექტები საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის მაიორი იოსებ ლორთქიფანიძე	30
ომის წარმოების თანამედროვე საშუალებების გამოყენების მნიშვნელობა და გამოწვევები მაიორი გიორგი მაისურაძე	37
ახალი თაობის ომების დამახასიათებელი ასპექტები და გამოწვევები საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე მაიორი გიორგი მოსულიშვილი	44
საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე მდგარი ახალი თაობის ომის გამოწვევები მაიორი ლაშა ნასარიძე	50
თანამედროვე ომის წარმოების მეთოდები და გამოწვევები საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე ვიცე-პოლკოვნიკი ილია ჩანადირი	58
სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი - „მოგავლის ომების რეპეტიცია“ და საქართველოს თავდაცვის წინაშე არსებული გამოწვევები ვიცე-პოლკოვნიკი რამაზ ჭაბუკიანი	65

CONTENT

LESSONS FROM THE ARMENIA-AZERBAIJAN CONFLICT MAJOR SHALVA GELADZE	6
SMALL STATE NATIONAL SECURITY CHALLENGES SMALL CHALLENGES (EXAMPLE OF GEORGIA) LEVAN ZOSIASHVILI	15
DIRECTIONS FOR THE DEVELOPMENT OF THE GEORGIAN DEFENSE FORCES, TAKING INTO ACCOUNT MODERN MILITARY CAPABILITIES MAJOR ZURAB TATOSHVILI	23
THE MAIN FEATURES OF FORTH GENERATION WAR FOR GEORGIAN ARMY MAJOR IOSEB LORTKIPANIDZE	30
THE IMPORTANCE AND CHALLENGES OF USING MODERN MEANS OF WAR PRODUCTION MAJOR GIORGI MAISURADZE	37
CHARACTERISTIC ASPECTS AND CHALLENGES OF THE NEW GENERATION OF WARS IN FRONT OF THE GEORGIAN DEFENSE FORCES MAJOR GIORGI MOSULISHVILI	44
CHALLENGES OF THE NEW GENERATION OF WAR FACED BY THE DEFENSE FORCES OF GEORGIA MAJOR LASHA NASARIDZE	50
MODERN WAR PRODUCTION METHODS AND CHELLENGES FACING THE GEORGIA DEFENSE FORCES LIEUTENANT COLONEL ILIA CHANADIRI	58
ARMENIA-AZERBAIJAN CONFLICT - "REHEARSAL OF FUTURE WARS" AND CHALLENGES FACED BY THE GEORGIAN DEFENSE LIEUTENANT COLONEL RAMAZ CHABUKIANI	65

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გაკვეთილები

LESSONS FROM THE ARMENIA-AZERBAIJAN CONFLICT

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE

მაიორი შალვა გელაძე

MAJOR SHALVA GELADZE

ხელმძღვანელი: ვიცე პოლკოვნიკი გიორგი ხმალაძე
საშტაბო სამეთაურო კოლეჯის ინსტრუქტორი

SUPERVISOR: LIEUTENANT COLONEL GEORGE KHMALADZE
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE INSTRUCTOR

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

ტექნოლოგიების განვითარება ყოველთვის იწვევს ომის წარმოების ახალ განზომილებაში გადასვლას და გარკვეული საბრძოლო სისტემების შეუსაბამობას/ხმარებიდან ამოღებას. მთიანი ყარაბაღის უკანასკნელ კონფლიქტში განვითარებულმა სამხედრო მოქმედებებმა აჩვენეს, თუ რა შედეგი მოაქვს ბრძოლაში თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების გამოყენებას. ამ საკითხთან დაკავშირებით სამხედრო ექსპერტების აზრი გაიყო, ნაწილი მათგანის აზრით ეს შეიძლება იყოს კლასიკური საბრძოლო თვითმფრინავებისა და ტანკების ერის დასასრულის დასაწყისი. სამხედრო ექსპერტის ვახტანგ მაისაიას აზრით „იმის თქმა, რომ ტანკებმა და თვითმფრინავებმა ფუნქცია დაკარგეს არაა სწორი - ყველას თავისი ადგილი აქვს. უბრალოდ გამოჩნდა საბრძოლო წარმოების ახალი საშუალება, რომელიც ახალმა ტექნოლოგიებმა მოიტანა“. სწორედ ასეთი თანამედროვე ტექნოლოგიების (უპილოტო საფრენი აპარატები, ზეზუსტი საარტილერიო და რადიო ელექტრონული ბრძოლის საშუალებები) გამო მიიქცია მსოფლიოს ყურადღება სომხეთ-აზერბაიჯანის უკანასკნელმა კონფლიქტმა, რომელსაც „მომავლის ომების რეპეტიცია“ ეწოდა. ყარაბაღის კონფლიქტმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ის გამოწვევები, რომლის წინაშეც საქართველოს თავდაცვის ძალები დგას. იმისათვის, რომ საქართველო რეგიონში წარმოადგენდეს ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ძალას, საჭიროა განხორციელდეს თანამედროვე სტანდარტებზე გადაიარაღება და დოქტრინებში რამდენიმე ფუნდამენტალური ცვლილება. სწორედ ამ გამოწვევებზე იქნება საუბარი აღნიშნულ ნაშრომში.

საპანდო სიტყვები:

ყარაბაღის ომი. თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები. მცირე ჯგუფებად ბრძოლის ტაქტიკა. ამოცანით მართვა.

ABSTRACT

The development of technologies has always caused transfer of the war production in new dimension and irrelevance/exclusion of certain battle systems. Military operations, held during the last conflict of the Nagorno-Karabakh, have shown what outcomes may have the use of the latest military technologies in battle. Military experts' ideas related to this issue have divided, one part thinks that it might be the start to end classic battle aircrafts and tanks era. Military expert Vakhtang Maisaia thinks that "it is not correct to say that tanks and aircrafts have lost their function – each of them have their place. There simply are newer means of holding battles, that were brought by newest technologies". These latest technologies (Unmanned aerial vehicle, highly precise artillery and radio electronic battle means) attracted a world attention while the latest conflict between Armenia and Azerbaijan, which was called as the "rehearsal for the wars of future". The conflict in Karabakh has once more outlined those challenges, which Georgian defence forces have to face. In order to become one of the forces that should be taken into account in the region, Georgia should rearm to the newest standards and make several fundamental changes in doctrines. These are the challenges which will be discussed in the following thesis.

KEYWORDS:

War in Karabakh. Latest military technologies. Tactics for fighting in small groups. Mission command.

ანოტაცია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაცობრიობამ დაიჭერა, რომ ომების ეპოქა დამთავრდა და 21-ე საუკუნე ერებს შორის მშვიდი თანაცხოვრების დანყების ეპოქა იქნებოდა, თუმცა სახეგეა ომების წარმოების სახეცვლილება და გაზრდილი ინტენსივობა, რომელმაც გააქარწყლა მოლოდინები იმის შესახებ, რომ კაცობრიობა შეძლებს ურთიერთობას ომების გარეშე. ომები ს ტრანსფორმაცია განსაკუთრებით გამოიკვეთა ბოლო ათწლეულში, სირიაში დანყებულმა კონფლიქტმა მონაწილე ქვეყნების სამხედრო ძალებს, მისცა საშუალება დაეხვეწათ ომის წარმოების თანამედროვე მეთოდები, რასაც ექსპერტები მოიხსენიებენ, როგორც მეოთხე თაობის ომად. თანამედროვე ტიპის ომებმა მკვეთრად შეცვალა წინა საუკუნის სამხედრო მოქმედებების აღქმა, რადგანაც მეოთხე თაობის ომში კლასიკური გაგებით ფრონტის მცნებამ მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ხშირ შემთხვევაში აქტუალობასაც კარგავს. 2020 ყარაბაღის ომი საუკეთესო მაგალითი გახდა მრავალი ქვეყნისათვის თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა უპილოტო საფრენი აპარატების, რადიო ელექტრონული ბრძოლის საშუალებების, საარტილერიო და კომანდოს ტიპის ქვედანაყოფების შერწყმულმა მოქმედებებმა, რა დროსაც ადამიანური რესურსების მაქსიმალური დაზოგვით ხდება ომის ბედის გადანყვეტა. ისევე, როგორც სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო მეთაურებისთვის საქართველოს თავდაცვის ძალებისთვისაც მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოიკვეთა თანამედროვე ომის წარმოების სპეციფიკაში, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გადაიარაღებასა და დოქტრინულ ცვლილებებს, რათა თავდაცვის ძალები მზად შეხვდეს და უსწრაფესი რეაგირება მოახდინოს ქვეყნის სუვერენიტეტის წინაშე წარმოქმნილ საფრთხეზე.

ANNOTATION

After World War II, humanity believed that the era of war was over and that the 21st century would be the beginning of peaceful coexistence between nations, however, there is a shift in the production of wars and an increase in intensity that has shattered expectations that humanity will be able to communicate without wars. The transformation of the wars was especially evident in the military forces of the participating countries in the last decade, the conflict in Syria, Allowed to refine modern methods of warfare, which experts refer to as the fourth generation war. Modern-type wars have dramatically changed the perception of military action in the previous century; Because in the fourth generation war the commandment of the front in the classical sense underwent a significant change and with the use of modern technologies often loses its relevance. The Karabakh war became the best example for many countries of the importance of unmanned aerial vehicles, radio electronic warfare, Combined operations of artillery and commando units, during which the fate of the war is decided with the maximum saving of human resources. As well as for the military commanders of different countries, significant challenges were identified for the Georgian Defense Forces in the specifics of modern warfare, which requires significant technological re-equipment and doctrinal changes, to make the defense forces ready to meet and respond swiftly to any type of threat to the country's sovereignty.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოსტ საბჭოთა მომავალი განვითარება მნიშვნელოვნად განაპირობა სომხეთისა და აზერბაიჯანის დაპირისპირებამ მთიანი ყარაბაღის გამო. რომ არა ყარაბაღის კონფლიქტი, დღესდღეობით მნიშვნელოვნად სახეცვლილ რეგიონში მოუწევდათ კავკასიურ ერებს ურთიერთობა. კონფლიქტს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს: ეთნო კონფლიქტი, რომელიც, რეგიონალურ კონფლიქტად გადაიქცა და გასცდა მის ფარგლებს, რამდენიმე ეტაპად შეგვიძლია დავყოთ: აღნიშნული ნაშრომი მიმოიხილავს სომხეთ აზერბაიჯანის 2020 წლის კონფლიქტის უკანასკნელ პერიოდს.

პირველი ეტაპი - 1988-1991 წლების ეთნიკური დაპირისპირება საბჭოთა აზერბაიჯანში, რაც მალევე გადაიქცა ორ საბჭოთა რესპუბლიკას შორის კონფლიქტად.

მეორე ეტაპი - 1991-1994 წლების სამხედრო დაპირისპირება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოცენებულ ორ სუვერენულ სახელმწიფოს - სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც 1994 წელს, ბიშკეკის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დასრულდა.

მესამე ეტაპი - 1994 წლიდან დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკებები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადასაწყვეტად, რომელთა ფარგლებშიც შეთანხმების მიღწევა ამ დრომდე ვერ ხერხდებოდა.¹

აზერბაიჯანის გაცხადებულმა მიდგომამ იმის შესახებ, რომ თუ კონფლიქტი მოლაპარაკებებით არ დარეგულირდებოდა, ამას სამხედრო ძალით დაარეგულირებდა, ხოლო სომხეთის პრემიერ მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის განცხადებამ „ყარაბაღი სომხეთია. წერტილი!“², მოლაპარაკებები ჩიხში შეიყვანა. საბოლოოდ, კონფლიქტის ბოლო პერიოდში გამწვავებამ, კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კავკასიაში დიპლომატია უძლურია, როცა წინა პლანზე იარაღი გადმოდის.

ამერიკელ სამხედრო სპეციალისტთა ჯგუფი უილიამ ლინდის ინიციატივით ომების ისტორიას ოთხ **თაობად ყოფენ**:³ სანამ სახელმწიფო ომის მონოპოლიზებას მოახდენდა, ომიანობით სხვადასხვა სოციალური ჯგუფები იყვნენ დაკავებული, როგორიცაა: კლანები, ტომები, რელიგიური ჯგუფები, ქალაქები და მათთვის ეს სულაც არ იყო პოლიტიკის გაგრძელება, არამედ ცხოვრების წესი ან სულაც არსებობისთვის ბრძოლას წარმოადგენდა. სახელმწიფოს მიერ ამ ჯგუფების განიარაღებამ, სრულიად ახალ სამხედრო კულტურას ჩაუყარა საფუძველი.

1648-1860 წლებში არმიები იძენენ დღევანდელ სახეს - უნიფორმა, დისციპლინა, სამხედრო იერარქია, სამხედრო წყობა, უნიფიცირებული იარაღი, რომელიც ბრძოლის ველზე სრულიად კონკრეტულ ტაქტიკას განაპირობებს, მე-19 საუკუნემდე ინარჩუნებს თავს. ეს გახლავთ საბრძოლო მოქმედებების წარმართვა კოლონისა და ხაზის გამოყენებით. ყველაფერ ამას ლინდი და მისი ჯგუფი პირველი თაობის ომს უწოდებენ.

არენაზე ხრახნილულუიანი იარაღის, ტყვიამფრქვევებისა და სხვა ტექნოლოგიების გამოჩენასთან ერთად, ახალი საბრძოლო მიდგომებიც ჩნდება. თავის კულმინაციას იგი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აღწევს და ამას მეორე თაობის ომს უწოდებენ. იმ მრავალფეროვანმა სამხედრო ინსტრუმენტებმა, რომელიც მეორე თაობის ომის მეთაურების ხელში აღმოჩნდა და მისმა ორკესტრირებულმა გამოყენებამ მოითხოვა ბრძანებების უსიტყვო შესრულება წარმატების მისაღწევად ამ დროიდან ჩნდება გამოთქმა - „ინიციატივა დასჯადია“. ლინდი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამხედრო დოქტრინები ძირითადად მეორე თაობის ომის აზროვნებას ასახავს, მისი იდეოლოგიური საყრდენი ცეცხლი და გამოფიტვის სტრატეგიაა.

მეორე თაობის ომმა თავის წიაღში მესამე თაობის ომი წარმოშვა და ისინი თანაარსებობენ, თუმცა დოქტრინა ცეცხლის ძალასა და გამოფიტვას კი არა, სისწრაფესა და მანევრულობას ეყრდნობა, რამაც თავის კულმინაციას მეორე მსოფლიო ომში მიაღწია.

მეოთხე თაობის ომის შემთხვევაში ფრონტი, როგორც ეს თუნდაც გასულ საუკუნეში ესმოდათ, სავსაოდ პირობით მცნებად იქცა. ამ ომის საბრძოლო სივრცე არა ფრონტი, არამედ მთლიანობაში აღებული სივრცეა, ეს ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის მცირე ჯგუფებით მოქმედებისთვის, მაგრამ ამ ჯგუფების მეთაურები უფრო მეტად უნდა სარგებლობდნენ გადაწყვეტილების თავისუფლებით მეთაურის ჩანაფიქრის ფარგლებში.⁴

მიუხედავად იმისა რომ, სომხურმა მხარემ განვლილ მცირე შეტაკებებში სავსაოდ კარგი გავლენილები მიიღო, მაინც ვერ შეძლო უარი ეთქვა უკვე მრავალჯერ ნაცად და ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულ, თუმცა უკვე მოძველებულ ტაქტიკასა და ბრძოლების წარმოების მეთოდებზე.

ყარაბაღის პირველი ომისგან განსხვავებით (1991-1994წ), ამ ომმა დაგვანახა პარადიგმული ცვლილებები ბრძოლის წარმოების კუთხით და ნათლად გამოკვეთა ის მოთხოვნები, რასაც მომავალი ომის ბუნება წაუყენებს დაპირისპირებულ მხარეებს. უამრავმა ქვეყანამ უკვე დაიწყო ამ ომის გაანალიზება და სიახლეების დანერგვა

1 მალხაზ მაცაბერიძე, „სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო“ (საღიქვითი კურსი საღიქვითი კურსი „კავკასიის შედარებითი პოლიტიკა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020)

2 დავით თევზაძე, „მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი“, პირველი არხი, <http://bit.ly/3nD0bQH> (16.04.2019)

3 „მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანია! - ბაქოს პასუხი ნიკოლ ფაშინიანის განცხადებას“, რადიო თავისუფლება, <http://bit.ly/35zI-HzC> (07.08.2019)

4 დავით თევზაძე, „მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი“, პირველი არხი, <http://bit.ly/3nD0bQH> (16.04.2019)

შეიარაღებულ ძალებში. ამ კუთხით მონინავეთა რიგებში უკრაინაა, რომელმაც უკვე მოახდინა თურქული საბრძოლო დრონების ინტეგრაცია სხვადასხვა საბრძოლო სისტემებთან.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სახეზეა მეოთხე თაობის ომის მკაფიო გაკვეთილები, რომლის საწარმოებლადაც ერთ დღეში ან თუნდაც ერთ წელში ვერ მოემზადები, ეს მოითხოვს სწორ და გრძელვადიან დაგეგმვას, რომლის პირველად შედეგს რამოდენიმე წელიწადში მიიღებ. ამ ომმა მოიტანა ისეთი სიახლეები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვან უპირატესობას მისცემს მცირე რესურსების ქვეყანას, რათა აწარმოოს ბრძოლები ძლიერ და რიცხოვრითად აღმატებულ მონინალმდევსთან.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არასოდეს ყოფილა „გაყინული“, ის ყოველთვის გამოირჩეოდა ესკალაციის პოტენციალით და ამაში წვლილი როგორც სომხეთს, ისე აზერბაიჯანსაც მიუძღვის. ორივე სახელმწიფო იმდენად აქტიურად იძენდა შეიარაღებას, ისე, რომ ისინი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მილიტარიზებული ქვეყნების რიგებში აღმოჩნდნენ.⁵ ეს პირველ რიგში აზერბაიჯანს ეხება, რომელმაც ბოლო ათი წლის განმავლობაში შეიარაღებული ძალების გაძლიერებაში 24 მილიარდი დოლარი დახარჯა.⁶ აზერბაიჯანმა აწარმოა მეოთხე თაობის ომი, ხოლო სომხეთმა მას მხოლოდ მესამე თაობის ომით უპასუხა, რაც, 90-იანი წლებისაგან განსხვავებით, უკვე მოძველებული და გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

სომხეთის შეიარაღებული ძალები მიიჩნეოდა უფრო ბრძოლისუნარიან და გამოცდილ საბრძოლო ძალად, განსაკუთრებით მცირე მეთაურთა მომზადებისა და ინიციატივის კუთხით და აგრეთვე მათ საკმაოდ კარგი თავდაცვითი პოზიციები ეკავათ მთა-გორიან რელიეფზე, რასაც წლების განმავლობაში ეშვლონირებული თავდაცვის ხაზის მონყობით აუმჯობესებდნენ. ყოველივე ამის მიუხედავად, გადამწყვეტი როლი შეასრულა თანამედროვე ტექნოლოგიებმა და სრულმა საჰაერო უპირატესობამ. ომის მიმდინარეობისას კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ხარისხის უპირატესობა რაოდენობაზე, როდესაც სომხური მხარის მოძველებულმა ათეულობით საზენიტო სისტემამ ვერაფერი გააწყობა თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატების წინააღმდეგ. არავინ დაობს იმაზე, რომ დრონებმა უდიდესი როლი ითამაშეს კონფლიქტის მიმდინარეობაზე, თუმცა არ უნდა მოხდეს მისი ეფექტურობის მხოლოდ ცალკეულ ჭრილში განხილვა, რადგანაც თუ დრონი არ იმოქმედებდა ძლიერი საჰაერო ქოლგის ქვეშ, მათ ავიაციისგან გადარჩენის ძალიან მცირე შანსი ექნებოდათ. ამასთან, ამავე ჭრილში უნდა განვიხილოთ რადიო ელექტრონული ბრძოლის სისტემები, რომელთა ეფექტურობა მუშაობამ დააბრმავა სომხური საზენიტო სისტემები და ჩაახშო რადიო სიგნალები, რამაც უდიდესი უპირატესობა მისცა დრონებს აღმოეჩინათ და გაენადგურებინათ საჰაერო თავდაცვის დანადგარები.

ცალკე უნდა აღინიშნოს აზერბაიჯანის ხელთ არსებული „გრძელი საარტილერიო მუშტი,“ რომელიც უახლესი საარტილერიო სისტემებით უზუსტეს დარტყმებს აყენებდა მონინალმდევის სამეთაურო პუქტებს ღრმა ზურგში, რაც სომხურ მხარეს ხელიდან აცლიდა მართვისა და კავშირის შესაძლებლობას. ისეთმა ებრაულმა სისტემებმა, როგორიცაა LORA და LYNX საშუალება მისცა აზერბაიჯანულ ძალებს გამანადგურებელი საარტილერიო დარტყმები მიეყენებინა 300 კმ სიღრმეში, რაც გარდა ადამიანური და ტექნიკური დანაკარგისა, მორალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც უმძიმესი აღმოჩნდა სომხური მხარისთვის.

გასათვალისწინებელია ქვეითი ქვედანაყოფების ფაქტორიც, რომელიც ყოველთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებდა ნებისმიერი ტიპის ომში, თუმცა ხსენებულ კონფლიქტში ქვეითმა ქვედანაყოფებმა, მათზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლეს და აჩვენეს მომზადების დაბალი დონე, რამაც გამოიწვია დიდი ადამიანური დანაკარგი. მთავორიანმა რელიეფმა შეზღუდა რა მათი მანევრულობა, მაშინვე მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი მონცყლადობა.

მოცემული მსჯელობის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ქვეითი ქვედანაყოფების შემცირებული როლი და ფუნქციები ბრძოლებში, ღირსეულად იტვირთეს კომანდოს ტიპის ქვედანაყოფებმა, რომლებიც მცირე ჯგუფების ტაქტიკით ახორციელებდნენ გარღვეულ უბნებში შეჭრას და ასრულებდნენ მიზანჩვენებას საჰაერო აპარატებისა და საარტილერიო სისტემებისთვის. აღნიშნულმა ტაქტიკამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბრძოლის მიმდინარეობაზე, რადგანაც კარგად მომზადებული მცირე ჯგუფები სამიზნეების განადგურების შემდეგ მყისვე იკავებდნენ პოზიციებსა თუ დასახლებულ პუნქტებს, რაც კონტრშეტევის შესაძლებლობას უსპობდა სომხურ ძალებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ომების სპეციფიკისა და იმ მოთხოვნების გაანალიზება, რაც განაპირობებს ოპერაციების წარმატებას. ჭკვიანი ტექნოლოგიები გადამწყვეტ როლს ასრულებენ თანამედროვე ომებში, თუმცა, მაშინ, როდესაც ამ ტექნოლოგიებს ძალიან კვალიფიციური და განვრთნილი პერსონალი მართავს. თანამედროვე ომები უფრო ნაკლებად ითხოვს ადამიანის უშუალო ჩართულობას და თუ ტექნოლოგიები ზოგავს ადამიანთა რაოდენობას,

5 მტეფან მაისტერი, „არასტაბილური მშვიდობა-მთიანი ყარაბაღი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელმოწერის შემდეგ“ Heinrich Boll Stiftung თბილისი სამხრეთ კავკასია, (24.11.2020): გვერდი 1.

6 Sam Bhutia, „Armenia-Azerbaijan: Who's the big defense spender?“, Eurasianet, (28.10.2019)

სამაგიეროდ ერთი-ორად ზრდის კომპეტენციის მნიშვნელობას. მთიანი ყარაბაღის მიმდინარე ომმა დააჰინა ქვეითი ქვედანაყოფების ფუნქციები, მაგრამ, სამაგიეროდ, გაიზარდა კომანდოს ტიპის მცირე ჯგუფების როლი, რომლებსაც ხელუწიფებათ მათ ხელთ არსებული ტექნოლოგიები მრისხანე იარაღად აქციონ, რაც ომში საბოლოო წარმატების გარანტია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანია! - ბაქოს პასუხი ნიკოლ ფაშინიანის განცხადებას“, რადიო თავისუფლება, 07.08.2019. <http://bit.ly/35zIHZC> (შემოწმების უკანასკნელი თარიღი: 12.01.2021)
2. თევზაძე, დავით. „მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი“, პირველი არხი, 16.04.2019. <http://bit.ly/3nD0bQH> (შემოწმების უკანასკნელი თარიღი: 12.01.2021)
3. მაისტერი შტეფან, „არასტაბილური მშვიდობა-მთიანი ყარაბაღი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელმოწერის შემდეგ“, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 24.11.2020.
4. მაცაბერიძე მალხაზ, „სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო“, სალექციო კურსი „კავკასიის შედარებითი პოლიტიკა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020.
5. Bhutia Sam, „Armenia-Azerbaijan: Who's the big defense spender?“ Eurasianet, (28.10.2019)

REFERENCES

1. Naghorno Kharabagh is Azerbaijan! - „Baku's response to Nikol Pashinian statement“, Radio Liberty, 07.08.2019. <http://bit.ly/35zIHZC> (Last date of inspection: 12.01.2021)
2. Tevzadze, David. „Fourth generation war and terrorism“, First Chanel, 16.04.2019. <http://bit.ly/3nD0bQH> (Last date of inspection: 12.01.2021)
3. Maister Shtefan, „Unstable peace - after the signing of the ceasefire in Nagorno-Karabakh“, Heinrich Boell Foundation, 24.11.2020
4. Matsaberidze Malkhaz, „Armenian-Azerbaijani conflict over Nagorno-Karabakh“, Lecture course „Comparative Politics of the Caucasus“, Tbilisi state University, 2020
5. Bhutia Sam, „Armenia-Azerbaijan: Who's the big defense spender?“ Eurasianet, (28.10.2019)

**კატარა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების
გამოწვევები
(საქართველოს მაგალითი)**

**SMALL STATE NATIONAL SECURITY CHALLENGES
(EXAMPLE OF GEORGIA)**

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE

ლევან ზოსიაშვილი

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი

LEVAN ZOSIASHVILI

DIPLOMACY AND MASTER OF INTERNATIONAL POLITICS

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი განიხილავს საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე არსებულ გამოწვევებს და ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივებს. მისი მიზანია აჩვენოს თუ რა გავლენას მოახდენს ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა NATO-საქართველოს ურთიერთობაზე და სხვა რა გამოწვევები დგას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების წინაშე.

ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ორი თავისა და დასკვნისაგან. შესავალი ნაწილი ზოგადად განიხილავს საერთაშორისო სისტემის ხასიათს და სახელმწიფოთა ურთიერთობებს, ასევე ასახელებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უახლეს გამოწვევებს. პირველი თავი შეეხება პატარა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის განვითარების მიმართულებებს. მეორე თავი აანალიზებს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე არსებულ ვითარებას და NATO-საქართველოს ურთიერთთანამშრომლობას. დასკვნითი ნაწილი აჯამებს ნაშრომში წარმოდგენილ ძირითად მოსაზრებებს და გვთავაზობს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებზე ავტორისეულ პასუხს.

რუსეთის მიერ უკრაინაში სამხედრო ძალების კონცენტრირება და დასავლური სახელმწიფოების მიერ უკრაინის აქტიური მხარდაჭერა აქტუალურს ხდის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებს. ქვეყანამ უნდა შეძლოს პოზიციონირება საერთაშორისო სისტემაში და საკუთარი ადგილის პოვნა მოკავშირეებს შორის.

საკვანძო სიტყვები:

უსაფრთხოება, სახელმწიფო, თავდაცვა, გეოპოლიტიკა

ABSTRACT

This paper discusses the challenges facing the Georgian Defense Forces and the prospects for developing the country's defense capabilities. Its purpose is to show how the withdrawal of troops from Afghanistan will affect NATO-Georgia relations and what other challenges the country's national security faces.

The paper consists of an introductory part, two chapters and a conclusion. The introductory part discusses in general the nature of the international system and the relations between the states, as well as the latest challenges to Georgia's national security. The first chapter deals with the national security of a small country and the directions for the development of a national security strategy. The second chapter analyzes the current situation on Georgia's Euro-Atlantic integration and NATO-Georgia cooperation. The concluding section summarizes the main views presented in the paper and offers an authoritative response to Georgia's national security challenges.

The recent Russia's military forces concentration in Ukraine and the active support of Ukraine by Western states make Georgia's national security challenges urgent. The country must be able to position itself in the international system and find its place among the allies.

KEYWORDS:

Security, State, Defense, Geopolitics

შესავალი

ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სამხედრო ძალა კვლავ წამყვან როლს თამაშობს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მასთან ერთად, სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ეკოლოგიური ფაქტორები (Buzan 1991). პატარა სახელმწიფოები დღეისათვის ცდილობენ იპოვონ საკუთარი ადგილი და დანიშნულება საერთაშორისო სისტემაში. ყოფილი იუგოსლავიის და საბჭოთა კავშირის გამოცდილებით, ახლად ფორმირებულ პატარა სახელმწიფოებს მხოლოდ ახალი საერთაშორისო ნორმების და წესების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებზე მოკავშირეებისა და კოლექტიური უსაფრთხოების კონტექსტში უნდა იფიქრონ (რონდელი 2009).

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, საქართველოსთვის მთავარ პრიორიტეტად რჩება ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია. ამავ დროს, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში NATO-ს მტკიცე მხარდაჭერის მისიის დასრულება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. შეძლებს თუ არა საქართველო ევროატლანტიკურ ორგანიზაციასთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთ-თანამშრომლობის შენარჩუნებას და გაღრმავებას დამოკიდებულია საერთო გეოპოლიტიკურ ვითარებაზე. თავდაცვის ძალების მიერ სამშვიდობო მისიებში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის კონტიგენტით მონაწილეობით მოპოვებული ნიშა მიმდინარე ეტაპისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამავდროულად, ქვეყნის შიდა პოლიტ-ეკონომიკური კრიზისები მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის დასავლურ განვითარებას და დემოკრატიის ჩამოყალიბებას.

თავი 1.

პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება

საერთაშორისო სისტემა 21-ე საუკუნეში უფრო ლმობიერი და შემწყნარებლური გახდა პატარა სახელმწიფოთა მიმართ. ისინი აღიქმებიან საერთაშორისო სისტემის სრულუფლებიან წევრებად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ საკუთარ უსაფრთხოებაზე ისევე უნდა იზრუნონ, როგორც დიდმა სახელმწიფოებმა. მცირე სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების მიუხედავად, ამ სახელმწიფოებს საერთაშორისო სისტემაში თავიანთი როლი და ფუნქციები აქვთ მინიჭებული (რონდელი 2009). ქვეყნები, რომელთაც საკუთარი ადგილი და დანიშნულება ვერ უპოვნიან სისტემაში, განწირულნი არიან. მათ მეზობელ დიდ სახელმწიფოსთან გაერთიანება ან მუდმივად არასტაბილურ მდგომარეობაში ყოფნა ემუქრებათ. რაც საბოლოო ჯამში განადგურებამდე მიიყვანს ქვეყანას.

პატარა სახელმწიფოები საგარეო ურთიერთობების სტრატეგიის განსაზღვრისას მხედველობაში იღებენ საკუთარ შემლუდულ შესაძლებლობებს და შესაძლო გარე საფრთხეებს. მნიშვნელოვანია, რომ პატარა სახელმწიფოებს დიდ სახელმწიფოებთან შედარებით გააჩნიათ შემლუდული სტრუქტურული ძალა. ისინი არიან სამხედრო შესაძლებლობებით სუსტი, გააჩნიათ შემლუდვები მცირე მოსახლეობის და ეკონომიკის სახით, არ ძალუძთ ფინანსების ინვესტირება სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებაში და შესაბამისად რჩებიან მონყვლადი გარე საფრთხეების მიმართ (Thorhallsson და Steinsson 2017).

დიდ და პატარა სახელმწიფოებს მეტწილად განსხვავებული ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები ახასიათებთ. პატარა ქვეყნები საკუთარი უსაფრთხოების პრობლემებს და პრიორიტეტებს ძირითადად ლოკალურ და რეგიონალურ დონეზე განიხილავენ. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა მიზეზთა გამო (გეოსტრატე-გიული, გეოეკონომიკური მდებარეობა; ნედლეული და სხვ.) გლობალური პოლიტიკისა და ეკონომიკის ცენტრში, დიდ სახელმწიფოთა ინტერესის სფეროში აღმოჩნდება (რონდელი 2009). მსგავს მაგალითს წარმოადგენს საქართველო, რომელიც რუსეთს ესაზღვრება და ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) სტრატეგიული პარტნიორია. ასევე შეგვიძლია მსგავს მაგალითად დავასახელოთ: ქუვეითი, აზერბაიჯანი, ავსტრია, ისრაელი და სხვ.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის წარმატებისათვის და საერთაშორისო სისტემაში ადგილის დამკვიდრებისთვის გარე ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა სტაბილურობა და ალიანსების ფორმირება. თუ პატარა ქვეყანას აქვს უსაფრთხოების პრობლემა, მას აქვს რამდენიმე ვარიანტი საგარეო პოლიტიკის წარმოებისთვის: 1. მიიღოს დიდი სახელმწიფოსგან დაცვა; 2. განეწიანდეს სხვა პატარა და საშუალო სახელმწიფოებთან ერთად ალიანსში 3. განეწიანდეს საერთაშორისო ორგანიზაციაში, სადაც ძლიერი სახელმწიფოები არიან უსაფრთხოების გარანტები; 4. შეინარჩუნოს მიუმხრომლობა, არ განეწიანდეს არცერთ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში (Kassimeris

2009). პირველი და მესამე ვარიანტი გულისხმობს დიდი სახელმწიფოსგან მხარდაჭერას. მეორე ვარიანტი გულისხმობს ალიანსის წევრ სახელმწიფოთა მხრიდან მხარდაჭერას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას შემზღუდელი რესურსებით. მეოთხე შესაძლებლობა კი არ მოიცავს გარე ძალებისგან უსაფრთხოების მხარდაჭერას, თუმცა იძლევა სამხედრო და პოლიტიკური დაპირისპირებებისგან თავის არიდების შესაძლებლობას. რა გზას და სტრატეგიას აირჩევს სახელმწიფო დამოუკიდებელია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის ქვეყნის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ მდებარეობაზე, შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, რეგიონულ ძალთა მზაობაზე, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ისტორიულ გამოცდილებაზე და სხვა.

თავი 2.

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ავღანეთიდან გამოსვლით წარმოქმნილი გამოწვევები

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ რთული და არასტაბილური პერიოდი განვლო. შიდა დაპირისპირებები, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები, თბილისის სამოქალაქო ომი, ეკონომიკური კრიზისი და შიმშილობა - ეს ის ფაქტორებია, რამაც საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში გაართულა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და შეასუსტა მისი უსაფრთხოება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის მიერ საერთაშორისო პარტნიორის პოვნა და საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრული ფორმირება. თუმცა, ადგილობრივი კონფლიქტები და ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე რუსული გავლენა, რთულ მიზნად აქცევდა ქვეყნის დასავლური კურსს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველო ცდილობდა ურთიერ-ობის დაბალანსებას რუსეთთან. 90-იანი წლების დასაწყისში დასავლური ინტეგრაცია ოფიციალური ფორმით არ ჟღერებოდა, საქართველოს მთავრობა ცდილობდა თავიდან აეცილებინა რუსეთის გაღიზიანება. საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველომ განვითარების რთული ეტაპები გაიარა. ბოლო დეკადების მანძილზე მის სუვერენიტეტს არაერთხელ შეეცმნა საფრთხე. გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც კავკასიის რეგიონში ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა, კიდევ უფრო ართულებდა ვითარებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ახლად გათავისუფლებული პატარა სახელმწიფოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ძლიერი პარტნიორის პოვნა, რომელიც მათ დაეხმარებოდა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და იქნებოდა მათი სუვერენიტეტის დამცველი საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთ ძალად უნდა ქცეულიყო რუსეთის ფედერაციის ძალისხმევით შექმნილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.

რუსეთის რეალური სახე და დსთ-ს ბუტაფორიული ხასიათი აშკარა იყო, თუმცა ორგანიზაციის წევრობაზე უარი საქართველომ მხოლოდ 2008 წლის 14 აგვისტოს განაცხადა. რუსეთის ფედერაციას ხელი არ შეუშალა დსთ-ს წევრობამ დაერღვია საქართველოს ტერიტორიული საზღვრები. შედეგად, წარმოიშვა სრულმასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი, რასაც ასობით ადამიანი და საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპირება მოჰყვა. აგვისტოს ომის დასრულებისთანავე, საქართველოს პარლამენტმა საგანგებო სხდომაზე მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება თანამეგობრობის დატოვების შესახებ და არსებული ხელშეკრულებები ძალადაკარგულად გამოაცხადა (პარლამენტის საგანგებო სხდომა, 2008).

საქართველოს საგარეო სტრატეგიის კიდევ ერთი ალტერნატივა, რაც პრო-რუსული პოლიტოლოგების მიერ ხშირად ჟღერდება და აქტუალობას იძენს, არის ნეიტრალიტეტის ან მიუმხრომლობის გამოცხადება. საქართველოს დასავლურ კურსზე და დემოკრატიულ ღირებულებებზე უარის სათქმელად რუსული პროპაგანდა აქტიურად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ფაქტების დამახინჯებას. საქართველოსთვის ნეიტრალური სტატუსის მინიჭება არარეალურია. რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტები და რუსეთის მუდმივი ინტერესი აკონტროლოს კავკასიური სახელმწიფოების საგარეო და შიდა პოლიტიკა შეუძლებელს ხდის ნეიტრალიტეტს.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ვექტორი მიმართულია ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე და საერთო უსაფრთხოების ქოლგით სარგებლობაზე. NATO-საქართველოს ურთიერთობა სათავეს იღებს 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ცივი ომის დასრულების შემდეგ, 1991 წლის დეკემბერში, შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო. ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოები ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ინიციატივით იქნა მოწვეული საბჭოში გასაწევრიანებლად. საქართველო 1992 წელს გახდა NACC-ის წევრი, რითაც საფუძველი ჩაეყარა NATO-ს და საქართველოს

თანამშრომ-ლობას. (North Atlantic Cooperation Council (NACC), 2017). 1994 წელს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსის პარტნიორ სახელმწიფოებთან ინდივიდუალური თანამშრომლობისთვის შეიქმნა პროგრამა - „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, რომლის წევრიც საქართველო იმავე წელს გახდა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა 1999 წელს, სტამბულში გამართულმა ევროპის უშიშროების და თანამშრომ-ლობის სამიტმა. სამიტის დეკლარაციაში მკაფიოდ აისახა ეუთოს მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ (Istanbul Document 1999). სტამბულის სამიტამდე რამდენიმე თვით ადრე, 1999 წლის 12 ივნისს, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე, დაიწყო კოსოვოს სამშვიდობო მისია (KFOR). როგორც NATO-ს პარტნიორი სახელმწიფო, საქართველოს სამხედრო ძალები იმავე წლის აგვისტოდან ჩაერთო მისიაში.

NATO-ს სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა და სტამბულის სამიტზე მიღებული შეთანხმება დაეხმარა საქართველოს ხელისუფლებას აქტიური ნაბიჯები გადაედგა დასავლეთთან დასახლოებლად. საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, 1999 წლის 27 დეკემბერს საქართველოს საგარეო პოლიტიკა განსაზღვრა, როგორც „კაკუნი NATO-ს კარზე“. ერთი კვირის შემდეგ, 2000 წლის 4 იანვარს, გასული წლის საქართველოს საგარეო პოლიტიკის განხილვისას, საგარეო საქმეთა მინისტრმა, გიორგი მენაღარიშვილმა, NATO-თან და EU-თან თანამშრომლობა დაასახელა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად, რითაც ხაზი გაუსვა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სურვილს (Georgia's Knock at NATO's Door: Quieter But more Persistent, 2000).

თანდათანობით აშკარა ხდებოდა დასავლეთის მხარდაჭერა საქართველოს მიმართ, რაც აძლიერებდა ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის სურვილს. 2002 წლისთვის, აშშ-ს ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს წვრთნის და აღჭურვის პროგრამას, რის შემდგომაც აქტიურად გრძელდება ორმხრივი თანამშრომლობა NATO-საქართველოს შორის.

აქტიური თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია NATO-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), რომელიც ქვეყანამ 2014 წელს, უელსის სამიტზე, თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის (DCB)¹ ფარგლებში მიიღო. პაკეტი საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას, NATO-თან თავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მზადების პროცესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. პაკეტის განხორციელებაზე მონიტორინგს ახორციელებს NATO-ს ძირითადი ჯგუფი, რომელთა წარმომადგენლებიც მუდმივად იმყოფებიან ქვეყანაში. პაკეტის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რაც ხელს უწყობს თავდაცვის სისტემის NATO-თან თავსებადობის ამაღლებას. მათ შორის მნიშვნელოვანია NATO-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (NATO-Georgia Joint Training and Evaluation Centre - JTEC), თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა და თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა. აღნიშნული პროექტები ეხმარება თავდაცვის ძალებს განახორციელოს საერთაშორისო სტანდარტის სამხედრო წვრთნები და თავდაცვის სისტემა გარდაქმნას, როგორც დასავლური, NATO-ს სტანდარტებთან სრულად შესაბამისობაში მყოფი ინსტიტუცია.

საქართველოს თავდაცვის ძალების მნიშვნელოვანი პროგრესის შესახებ საუბარია NATO-ს გენერალური მდივნის 2019 წლის წლიურ მოხსენებაში. ანდერს ფოგ რასმუსენი ხაზს უსვამს SNGP-ს ფარგლებში საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების ზრდას და ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებულ მნიშვნელოვან წვრთნებს. 2019 წლის მარტში საქართველომ უმასპინძლა NATO-საქართველოს ერთობლივ სწავლებას, სადაც მონაწილეობას იღებდა 24 ალიანსის წევრი და პარტნიორი სახელმწიფოები. სწავლება გულისხმობდა საქართველოს ხელმძღვანელობით მრავალეროვნული ბრიგადის შტაბის მოქმედებების დაგეგმვას ჰუმანიტარულ კრიზისზე საპასუხოდ. ასევე, საზღვაო ძალები, სამხედრო პოლიცია და სხვა ქვედანაყოფები გაიწვრთნენ სამომაველო NATO-ს ლიდერობით განსახორციელებელი ოპერაციებისთვის. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წევრები იმყოფებოდნენ ბათუმში, სადაც მაღალი დონის შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა ხაზი გაუსვეს SNGP-ს წარმატებულ განხორციელებას და შეთანხმდნენ პაკეტის განახლე-ბული ვარიანტის მიღებაზე (The Secretary General's Annual Report 2019).

სამშვიდობო მისიებში მონაწილეობამ და ქვეყნის მნიშვნელოვანმა კონტრიბუ-ციამ საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნების პროცესში შესაძლებელი გახადა საქართველოს როლის და დანიშნულების ზრდა საერთაშორისო ასპარეზზე. 2015 წლიდან ქვეყანა შეუერთდა NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალებს. ორმა ქართულმა ასეულმა წარმატებით გაიარა ოთხწლიანი მომზადების პროგრამა და დღეისათვის როტაციის პრინციპით ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც NATO-ს სწრაფი რეაგირე-ბის ძალები (NRF).

საქართველოს თავდაცვის ძალები დიდ წილად აკმაყოფილებს NATO-ს მხრიდან წამოყენებულ

1 Defence and Related Security Capacity Building Initiative

სტანდარტებს, თუმცა ორგანიზაციის წევრობა ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა. სამხედრო კომპონენტთან ერთად, მნიშვნელოვანია პოლიტიკური ფაქტორი. ალიანსის წევრმა სახელმწიფოებმა კონსენსუსის შედეგად უნდა მიიწვიონ ქვეყანა ალიანსის ახალ წევრად, თუმცა აღნიშნული ამ ეტაპზე წარმოუდგენელია.

მნიშვნელოვანია განვმარტოთ, რომ საქართველოს მიზანია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხოლო ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის გზა ამ მიზნის მისაღწევად.

საქართველოს პროგრესი ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ სახეზეა. საერთაშორისო დონეზე, ქვეყანა აღიქმება პროგრესულ, განვითარებად სახელმწიფოდ. ხელისუფლების ცვლილებების მიუხედავად, ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი შეუქცევადია. სამშვიდობო მისიებში ჩართულობით ქვეყნისათვის შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ადგილის დამკვიდრება, გარკვეული ნდობის და პატივისცემის მოპოვება. რაც სამომავლოდ ლეგიტიმურ საფუძველს გაუჩენს ქვეყანას გახდეს დასავლური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი და მიიღოს ის სარგებელი, რასაც ევროატლანტიკური ქოლგის ქვეშ ცხოვრება ქვია.

გეოპოლიტიკურ ვითარებაში, სადაც საქართველო დღეს იმყოფება, ალიანსის წევრობა მხოლოდ შორეული პერსპექტივაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს NATO-ში გაწევრიანება დღევანდელი დღის წესრიგში არ დგას, საქართველომ უნდა განაგრძოს აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან.

დასკვნა

არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, საქართველოს გაწევრიანება ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციაში ნაკლებ მოსალოდნელია. თუმცა ქვეყნის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და არა NATO-ში გაწევრიანება. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლებელია საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობით და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით. აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე პერმანენტულად ხორციელდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო სწავლებები, სადაც მონაწილეობას იღებენ ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნები. ასევე, ორი ქართული ასეული NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაშია, ასობით ამერიკის და სხვა, დასავლური ქვეყნების სამხედროები მუდმივი როტაციით არიან განლაგებულნი საქართველოს სხვადასხვა სამხედრო ბაზებზე. შესაბამისად, მსგავსი საერთაშორისო ძალების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა რუსეთის ფედერაცია-ისთვის წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველ-ყოფს საქართველოს უსაფრთხოებას. საბოლოოდ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ქვეყანამ შეინარჩუნოს დასავლური კურსი და საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Buzan, Barry. 1991. People, States and Fear - Second Edition. Boulder: Lynne Reinner Publishers. გვ.21
- 2000. "Georgia's Knock at NATO's Door: Quieter But more Persistent." Fortnight in Review Volume: 6 Issue: 1. The Jamestown Foundation, იანვარი 07.
- https://jamestown.org/program/georgias-knock-at-natos-door-quieter-but-more-persistent/?fbclid=IwAR3UqojgxSkgxtpMsoC8W7Oakyp5ASv74buj5MNjS_OeTtVZ4SyhZxOcd0c.
- 1999. "Joint Statement of the Russian Federation and Georgia." სტამბული, ნოემბერი 17. გვ. 252.
- Kassimeris, Christos. 2009. "The Foreign Policy of small powers." European University Cyprus. გვ. 88, 96, 99.
- 2017. North Atlantic Cooperation Council (NACC). იანვარი 30. https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_69344.htm.
- 2019. "The Secretary General's Annual Report." გვ. 81, 82. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/3/pdf_publications/sgar19-en.pdf.
- Thorhallsson, Baldur, and Sverrir Steinsson. 2017. "Small State Foreign Policy." Oxford Research Encyclopedia of Politics, მაისი: 3.
- 2008. პარლამენტის საგანგებო სხდომა. აგვისტო 14. <http://www.parliament.ge/ge/media/axali-ambebi/parlamentis-sagangebo-sx-doma-17048.page>.
- რონდელი, ალექსანდრე. 2009. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. Vol. მეორე განახლებული გამოცემა. ნეკერი.გვ. 14, 15, 85

**საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების
მიმართულებები თანამედროვე საშხედრო
შესაძლებლობების გათვალისწინებით**

**DIRECTIONS FOR THE DEVELOPMENT OF THE GEORGIAN
DEFENSE FORCES, TAKING INTO ACCOUNT MODERN
MILITARY CAPABILITIES**

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE

გაიორი ზურაბ თათოშვილი

MAJOR ZURAB TATOSHVILI

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს თავდაცვის ძალების (სთძ) განვითარების მიმართულებები თანამედროვე სამხედრო შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიური შესაძლებლობების ათვისებით. ამასთანავე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს „ნოვაციური“ პროგრამული განვითარების გონებრივი თვალსაზრისით ათვისება და მათი ტექნიკური გამოყენება, რაც თავისმხრივ გულისხმობს სთძ-ის „პროგრესს“ და ლტოლვას პარტნიორი განვითარებული ქვეყნების მიმართებით. აქვე განხილულია სთძ-ის გამოწვევები, მათ შორის, „გლობალური“ უსაფრთხოების გაძლიერება, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფო კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს, კიბერ სივრცის უსაფრთხოება, საჰაერო სივრცის უსაფრთხოება და არაპირდაპირი ცეცხლის შესაძლებლობები. სწორედ აღნიშნულის „სეგმენტთა“ განვითარება სთძ-ებს მისცემს საშუალებას უპასუხოს თანამედროვე სამხედრო გამოწვევებს, გახდის სთძ-ებს „ნატო“-ს კოალიციურ ჯარებთან თავსებადს და უზრუნველყოფს ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები:

თავდაცვის ძალები; კიბერსივრცის დაცვა; საჰაერო თავდაცვა; არაპირდაპირი ცეცხლი

ABSTRACT

In this article is discussed the directions of development of the Georgian Defense Forces (GDF) taking into account the modern military capabilities, which will ensure the strengthening of the state defense capabilities by utilizing modern technical and technological capabilities. At the same time, an important circumstance is the mental development of innovative software development and their technical use, which in turn implies the progress of the GDF and the longing for partner developed countries. The article also discusses the challenges of GDF, including enhancing global security, combating international terrorism, securing critical state infrastructure, and safeguarding a country's sovereignty. One of the prerequisites for responding to these challenges is Cyberspace security, Airspace security, and indirect fire capabilities. The development of these segments will enable the GDF to respond to modern military challenges. It will make Georgia's defense forces compatible With NATO's coalition forces and provide an opportunity to protect the country's sovereignty and territorial integrity.

KEYWORDS:

Defense Forces; Cyberspace protection; Air defense; Indirect fire

ანტიკური სამყაროს სახელმწიფოებრივი დაყოფის ევოლუციის შედეგად მიღებულმა თანამედროვე მსოფლიომ განვითარების მწვერვალზე მიაღწია, რისი გამოხატულების ილუსტრაციას წარმოადგენს დედამიწის გეოპოლიტიკური დაყოფის სპექტრი, თანამედროვე სახელმწიფოებრივ ჭრილში. თანამედროვე მსოფლიომ დღევანდელი სახელმწიფოები, მათი საზღვრების კონტურების საერთაშორისო აღიარებით წარმოადგინა, თუმცა სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული დავების ცალკეული გამოვლინებები თანამდევნი მოვლენაა გლობალური სამყაროს პირობებშიც, აღნიშნული დავების სამხედრო გზით მოგვარება დღესაც „აქტუალურია“, რაც თავის მხრივ თანამედროვე შეხედულება გულისხმობს სამხედრო და არასამხედრო საშუალებების კომბინირებული და კოორდინირებული გამოყენებით არა გაანადგუროს არამედ დააუძლუროს მონიშნულ დედა მიწის შეიარაღებული ძალები. ამასთანავე სამხედრო შესაძლებლობების გათვალისწინებით დღევანდელი მიდგომის მიზანია არა მონიშნულ დედა მიწის ჯარისკაცის მოკვლა, არამედ მათი საბრძოლო სულისკვეთების ჩახშობა და წინააღმდეგობის უნარის წართმევა, ასევე ადამიანთა ფსიქიკის რღვევა საინფორმაციო სივრცის გამოყენებით. სწორედ აღნიშნული გარემოების „დასტაბილურებისათვის“ წარმოშობილ გამოწვევებზე საპასუხოდ, მათ შორის, საერთაშორისო უსაფრთხოებაში მონაწილეობის და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით ფუნქციონირებს დღევანდელი საქართველოს თავდაცვის ძალები (სთძ), რასაც დამატა თანამედროვე გამოწვევა, რომელიც ცნობილია, როგორც „საერთაშორისო ტერორიზმი“-ს სახელწოდებით. აღნიშნული სირთულეების დაძლევის ერთ-ერთი წინაპირობაა თანამედროვე ჯარების აღჭურვა „ნოვაციური“ ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით. აქვე აუცილებელი გახდა ჯარების ახალ რეალობებზე გადაყვანა, რასაც გულისხმობს ახალი დოქტრინული ნიშნების შექმნა და მისი გამოყენება კონკრეტული სამხედრო ოპერაციების განხორციელების თვალსაზრისით. ამასთან ერთად, დღევანდელი სამხედრო შესაძლებლობების მოცემულობა საშუალებას იძლევა, რომ სამხედრო ოპერაციები წარმატებით იყოს განხორციელებული. სწორედ სამხედრო ოპერაციების წარმატებულად შესრულების წინაპირობაა სამხედრო და არასამხედრო რესურსების სწორი „მენეჯმენტი“, რასაც გულისხმობს დიპლომატიური, ინფორმაციული, სამხედრო და ეკონომიკური ფაქტორების მიმართვა ომის წარმატებით დაძლევისთვის. საქართველოს სახელმწიფო, როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის მოასპარეზე ქვეყანა და ამავდროულად ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში განუვრდიანების აქტიური კანდიდატი, აქტიურად მუშაობს საქართველოს თავდაცვის ძალებში განახორციელოს რეფორმები, აღჭურვოს თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რათა უპასუხოს თანამედროვე სამხედრო გამოწვევებს.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ თუ რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს თავდაცვის ძალები, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს კიბერ სივრცე, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე გამოწვევის ქვაკუთხედს, რაც თავის მხრივ მოიცავს საინფორმაციო სპექტრის მნიშვნელოვან რგოლს. შესაბამისად სთძ გამოწვევად განიხილება კიბერ საფრთხეზე რეაგირებისთვის საჭირო სტრატეგიული კომუნიკაციების, კიბერ ბიუროს პერსონალის და ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც ადევკატურად განსაზღვრავს, შეაფასებს და პრევენციის ღონისძიებებს გაატარებს კიბერსაფრთხის მიმართულებით. აღნიშნულთან მიმართებით საგულისხმოა, რომ რუსეთის ფედერაცია 2008 წელს საქართველოში შეიარაღებული ინტერვენციის პარალელურად აქტიურად ცდილობდა კიბერ თავდასხმით გარკვეული დისკომფორტი შეექმნა, როგორც საქართველოს სახელმწიფო მართვის ორგანოებისთვის ასევე კერძო სექტორისთვის, რაც დაადასტურა ამერიკული უსაფრთხოების მკვლევარების ჯგუფმა. მათი განცხადებით, სანქტ-პეტერბურგში დაფუძნებულმა ჰაკერულმა დაჯგუფებამ (Russian Business Network) კიბერშეტევები განახორციელეს, საქართველოს მედია, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო კომპანიების წინააღმდეგ, ამავდროულად სახელმწიფო უწყებების ვებ-საიტებზე მე-20 საუკუნის დიქტატორების ფოტოები გამოჩნდა (ლოლაძე, 2019). ამ გარემოებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სთძ-მა კიბერსივრცის კონტროლის მიზნით, განავითაროს და დაგეგმოს კიბერშეტევის აღკვეთის ოპერაციები. აქვე აღსანიშნავია რომ კიბერშეტევა, როგორც სთძ-ის ახალი გამოწვევა, სხვა სტანდარტულ საფრთხისგან, მათ შორის ფართომასშტაბიანი ომისგან განსხვავებით არ არის შემღუფლებელი კონკრეტული პოლიტიკური და გეოგრაფიული საზღვრებით. ამასთანავე კიბერშეტევა შეიძლება განხორციელდეს მშვიდობიან პერიოდშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი მოცემულობის კვალდაკვალ სწრაფი ტემპით ვითარდება კომპიუტერული ტექნოლოგიები და კიბერშეტევები უფრო იხვეწება, შესაბამისად თავდაცვა და კონტროლი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე მეტად „აქტუალური“ ხდება. ასევე საჭირო გახდა უნივერსიტეტების ჩართულობით კიბერუსაფრთხოების პერსონალის მომზადება და კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიულ დონეზე უსაფრთხოების დაცვის შესაძლებლობის მოძიება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ 2010 წლიდან საქართველომ შეიმუშავა კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფიერების ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ორიენტირებულია კიბერ სფეროში უსაფრთხოების დაცვის ეფექტიან განხორციელებაზე, ასევე განსაზღვრავს საჯარო და კერძო სექტორების უფლება-მოვალეობებს ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით და არეგულირებს კიბერსივრცის კონტროლის პოლიტიკას (საქართველოს მთავრობის დადგენილება N159, 2017). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიბერ თავდასხმის საშუალებით მიზანი მიიღწევა არა სამხედრო ორგანოების ჩარევით, არამედ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით სხვადასხვა სექტორში უნებართოდ შეღწევით, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებით ან განადგურებით. მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით 2020 წლის 1 სექტემბერს საქართველოს ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემებზე განხორციელდა კიბერ შეტევა, რომლის მიზანი იყო სამინისტროს ცენტრალური აპარატის, დაავადებათა კონტროლისა და რიჩარდ ლუგარის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზაში დაცული სამედიცინო დოკუმენტების და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენება (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2020). შესაბამისად, კიბერთავდასხმა წარმოადგენს სთმ გამოწვევას და მისი „პრევენციისთვის“ უნდა განხორციელდეს სტრატეგიული კომუნიკაციების და კიბერ ბიუროს განვითარება.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, თუ რა გამოწვევის წინაშე დგას სთმ, უნდა შეფასდეს საჰაერო სივრცე, როგორც საომარი მოქმედებების დროს ერთ-ერთი საფრთხე, რომლის ზეგავლენის „რეზულტატი“ სახელმწიფოს წინაშე აისახა 2008 წელს რუსეთ საქართველოს შეიარაღებული კომფლიქტის დროს საჰაერო დაბომბვებით. ამავდროულიდ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (სთს) აანალიზებს გლობალურ გამოწვევებს, მათ შორის საჰაერო სივრცის უსაფრთხოებას, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოების გარემოზე. შესაბამისად, ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების დაგეგმვის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხე. სწორედ 2008 წლის რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანიის და 2014 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (სთმ) 2017-2020 შემუშავდა საფრთხეებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2017. 14). აქვე ნიშანდობლივია, საქართველოს როგორც რთული რელიეფის მქონე ქვეყანას, სახმელეთო სამხედრო ოპერაციების წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით მნიშვნელოვან წინაპირობას შეუქმნის საჰაერო თავდაცვის საშუალებების შესყიდვა. სწორედ ამ გარემოებასთან მიმართებით, საქართველო და საფრანგეთი თანამშრომლობის ფორმატში მნიშვნელოვან ხელშეკრულებას აფორმებს, საჰაერო თავდაცვის მართვისა და კონტროლის სისტემის შესყიდვასთან დაკავშირებით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის (სთმ) თქმით, „ეს მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას საჰაერო თავდაცვის კომპონენტში“ (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2018). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჰაერო საფრთხის თავდაცვის მიმართულებით, მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს საჰაერო შემტევი საშუალებები, რომელიც საომარ თეატრში ბრძოლის დინამიკას „სოლიდურს“ ხდის. სწორედ ამ სეგმენტის განვითარების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ ტერიტორიაზე, გახსნა საფრენი აპარატების ახალი საწარმო (საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020). აღნიშნული საწარმო აღადგენს, საქართველოს თავდაცვის ძალების (სთძ) ბალანსზე არსებულ საბრძოლო საფრენ აპარატებს. მაგალითად, „ჯორჯიან თაიმსს“ სთს-დან აცნობეს, რომ „თბილავიამშენში“ სთძ-ის კუთვნილი მი-24 ტიპის შვეულმფრენების და SU-25 ტიპის თვითმფრინავების კაპიტალური შეკეთება მიმდინარეობს, ასევე უახლოეს მომავალში შვეულმფრენი მი-8 მტვ, UH-1 „იროკვეზის“ ტიპის და L-39 სავარჯიშო საფრენი აპარატები გარემონტდება (ჯორჯიან თაიმსი, 2020). აღნიშნული გააუმჯობესებს საჰაერო საფრთხის „პრევენციის“ შესაძლებლობას.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, უნდა გაანალიზდეს და შემდგომში სთძ-ის განვითარების მიზნით გათვალისწინებული იქნეს ამერბაიჯანის შეიარაღებული ძალების (ამძ) ყარაბაღში 2020 წლის 27 სექტემბერს დაწყებულ კომფლიქტის წარმატების „ფორმულა“. შესაბამისად უნდა გაანალიზდეს, თუ რა გავლენა იქონია არაპირდაპირი ცეცხლის სეგმენტმა აღნიშნულ სამხედრო კონფლიქტში მიღწეულ წარმატებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამძ-მა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო არტილერიის მოდერნიზებას და თანამედროვე სადაზვერვო და მიზნის „იდენტიფიკაციის“ საშუალებების პლატფორმის შექმნას. სწორედ აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს უპილოტო საფრენი აპარატების (უსა) დანერგვა და ინტეგრირება საბრძოლო ფუნქცია „ცეცხლი“-ს განვითარების თვალსაზრისით. უნდა

აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება ორიენტირებულია ჰუმანური რესურსის საბრძოლო მოქმედებებში ფიზიკურად ჩართულობის შემცირებაზე, რაც თავისმხრივ ცოცხალი ძალის დაზოგვას გულისხმობს. შესაბამისად პირადი შემადგენლობის, რომლებიც საარტილერიო ციკლს განკარგავს (მიზნის აღმოჩენა, პოლარული მონაცემების დამუშავება და მიზანზე საცეცხლე ზემოქმედება) შეხებაში ყოფნის რისკი მცირდება. ამასთანავე არტილერიის განვითარება მოითხოვს „ნოვაციური“ ტექნოლოგიური შესაძლებლობებით აღჭურვას, რაც გაამარტივებს საარტილერიო ჯურვის მიღწევას სამიზნე ობიექტამდე დროსა და სივრცის გათვალისწინებით. სწორედ ესა-ები წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას, რაც უზრუნველყოფს ბრძოლის დინამიკის ესკალაციასთან ერთად მიზნის აღმოჩენას, ინფორმაციის „სკონტანურად“ დამუშავებას და ადრესატამდე სწრაფ მიწოდებას, ამასთანავე საშუალებას იძლევა არაპირდაპირი ცეცხლის მიზანჩვენების შესაძლებლობას. შესაბამისად სთძ-ში უნდა განვითარდეს არაპირდაპირი ცეცხლის საშუალებები და ესა-ები, რაც თავისმხრივ სთძ-თვის ერთ-ერთი გამოწვევის დაძლევის ნიშნავს.

მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ საჭიროა „სოლიდური“ ფინანსური რესურსის მობილიზება თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიური სამხედრო რესურსების განახლებისთვის. რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამების განხორციელებაზე, მათ შორის, მოქალაქეთა დასაქმებისათვის საშუალო ადგილების შექმნა, განათლების სფეროს ტრანსფორმაცია, მოქალაქეთა სახელმწიფო დაზღვევის სამედიცინო პაკეტის გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკის რეგენერაცია. მაგალითად, 2019 წლის სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამით გათვალისწინებული იყო დღეისათვის საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში დაინტერესებულ მოქალაქეთა მომზადება-გადამზადება. სწავლის ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სოციალური მომსახურების სააგენტო 2019).

ამ გარემოების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ სთძ-ის გამოწვევების საპასუხოდ საჭიროა, სთძ სტრუქტურული ელემენტების თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებით აღჭურვა, რისთვისაც, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მრეწველობის განვითარებას დაეთმო ყურადღება. შესაბამისად, წარმოება წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკური ძლიერების საფუძველს, მათ შორის საშუალო ადგილის შექმნის გარანტიას, ეკონომიკის რეგენერაციის შესაძლებლობას და პროდუქციის იმპორტის საშუალებას. მაგალითად, 2018 წლის სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ შემაჯამებელ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ აშენდა და გარემონტდა ახალი საწარმოები, უზრუნველყოფილი იქნა საწარმოებში დასაქმებულთა ანაზღაურების სტაბილიზაცია, დაიწყო სერიული პროდუქციის წარმოება, მათ შორის, ჯავშანმანქანები, ჯავშანჟილეტები, ჩაფხუტები. ასევე „დელტამ“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების და სოფლისმეურნეობის სფეროში სექცით გამოწვეულ ზარალის შემცირებაში, რაც გამოიხატება, 2018 წელს თავიდან აცილებული იქნა 32922000 ლარის ზარალი. დელტას წყალობით ქვეყანამ შეძლო ეროვნული სამხედრო პროდუქტის წარდგენა მსოფლიო ბაზარზე, რაც დასტურდება საუდის არაბეთის სამეფოს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებით, რაც ეხებოდა თანამედროვე სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანების შესყიდვას. სსიპ „დელტა“-მ ნატოს ერთ-ერთ სახელმწიფოს მიაწოდა 50 ერთეული 120მმ-იანი ნაღმტყორცნი. 2018 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შეკვეთილი 5 მილიონ ლარამდე ღირებულების ინდივიდუალური დაცვის კომპლექტის მიწოდება წარმატებით შესრულდა („დელტას“ შემაჯამებელი ანგარიში 2018. 2-7).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველო, როგორც პატარა ქვეყანა აქტიურად მუშაობს, განსაზღვროს თავდაცვის ძალების წინაშე არსებული გამოწვევები არსებულ სათრთხევებთან მიმართებით, გამიჯნოს საფრთხე საომარ და მშვიდობიანობის პერიოდში, პრიორიტეტების მიხედვით ფინანსური რესურსი მიმართოს სთძ-ის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს საფრთხეებზე „პრევენციის“ შესაძლებლობას, ეს თავისმხრივ ნიშნავს სახელმწიფო ინსტიტუტების და კერძოსექტორის განვითარებას, ასევე ხელს შეუწყობს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში „ინტეგრირების“ პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2020. კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე და რუსული კვალი. სტატია.
https://idfi.ge/ge/strategy_of_russian_cyber_operations (12.03.2021)
- ინტერპრესნიუსი. 2020. 2021 წელს ჩვენ შევიძენთ ოპერატიულ და ტაქტიკურ უპილოტო სადაზვერვო და საბრძოლო დრონებს. სტატია
<https://www.interpressnews.ge/ka/article/634678-irakli-garibashvili-2021-cels-chven-shevizent-operatiul-da-taktikur-upiloto-sadazvervo-da-sabrzo-dronebs/> (12.03.2021)
- ლოლაძე, გიორგი. 2019. დეზინფორმაცია, თითქოს რუსეთის კიბერშეტევებს მხოლოდ ერთი წყარო ადასტურებს. სტატია. მიზეზის დეტექტორი.
<http://www.mythdetector.ge/ka/myth/dezinformatsia-titkos-rusetis-kibershetevs-mkholod-erti-cqaro-adasturebs> (13.02.2021).
- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2020. ნათია ტურნავამ და ირაკლი ღარიბაშვილმა საფრენი აპარატების ახალი სამწყობრო საწარმო გახსნეს. სტატია.
<http://www.economy.ge/?page=news&nw=1585> (17.03.2021)
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2017. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020. საქართველოს მთავრობის დადგენილება N202. თბილისი.
https://mod.gov.ge/uploads/public/strategiebi_kocefciebi/SDR_17-20.pdf (17.03.2021)
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2018. ანტისაჰაერო სისტემების შესყიდვა ჩვენი საჰაერო სივრცის და საქართველოს თითოეული მოქალაქის დაცულობის მნიშვნელოვანი გარანტია. სტატია.
<https://mod.gov.ge/ge/news/read/7038/antisahaero-sistemebis-shesydva-chveni-sahaero-sivrcis-da-saqartvelos-titoeuli-moqalaqis-daculobis-mnishvnelovani-garantia-levan-izoria> (19.03.2021)
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2018. თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო 2018-2021. დოკუმენტი. თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი.
[https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/mod_program_\(2018-2021\).pdf](https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/mod_program_(2018-2021).pdf) (20.03.2021)
- სოციალური მომსახურების სააგენტო 2019. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა. სახელმწიფო პროგრამა.
http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1215 (20.03.2021).
- პირველი არხი 2020. საომარი ვითარება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. სტატია. ვიდეო მასალა.
<https://1tv.ge/video/saomari-vitareba-somkhetsa-da-azerbaijans-shoris/> (20.03.2021)
- ყარაბაღის კონფლიქტის ქრონოლოგია 2020. სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირების ხაზი. თავდაცვის ეროვნული აკადემია სამეთაურო სამტაბო კოლეჯი. საინფორმაციო მასალა.
- ჯორჯიან თაიმსი. 2020. თბილავიამშენი საფრენ აპარატებს აღადგენს და გაარემონტებს. სტატია
https://m.geotimes.com.ge/news.php?news_id=81926&lang=geo (21.03.2021)
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2017. საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. საქართველოს მთავრობის დადგენილება N159. თბილისი.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625018?publication=0> (21.03.2021)
- delta.gov.ge. 2018. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ შემოქმედებულ ანგარიში 2018. სტატია
<http://www.delta.gov.ge/file/2019/02/Annual-Summary-2018.pdf> (21.03.2021).
- InsiderPaper@TheInsiderPapr 2020. Video shows an Azerbaijani kamikaze drone hitting a bus in Armenia. twitter.com. Short Video.
https://twitter.com/TheInsiderPaper/status/1311783610928824332?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Eetembed%7Ctwtterm%5E1311783610928824332%7Ctwgr%5E%7Ctwcon%5Es1_&ref_url=https%3A%2F%2Fwww.rferl.org%2Fa%2Fdrone-wars-in-nagorno-karabakh-the-future-of-warfare-is-now%2F30885007.html (21.03.2021)

**მეოთხე თაობის ომის მნიშვნელოვანი ასპექტები
საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის**

**THE MAIN FEATURES OF FORTH GENERATION WAR FOR
GEORGIAN ARMY**

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE

მაიორი იოსებ ლორთქიფანიძე

MAJOR IOSEB LORTKIPANIDZE

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

მოგეხსენებათ, ომი თავისი ბუნებით რთული ფენომენია. იგი წარმოადგენს კაცობრიობის გამოწვევას დასაბამიდან დღემდე. ომი სხვა და სხვა ეპოქაში განსხვავებული იყო თავისი ტაქტიკით და სტრატეგიით. შესაბამისად, სამხედრო სტრატეგებმა იგი დაყვეს ოთხ თაობად.

აღნიშნულ ნაშრომში განხილილია კონკრეტულად მეოთხე თაობის ომის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს თავდაცვის ძალების ამჟამინდელ გამოწვევას. ომის სხვა თაობებთან შედარებით აქ გვხვდება რადიკალურად განსხვავებული საშუალებები და მეთოდები, როგორცაა: საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური იარაღი გახდა დღევანდელ მსოფლიოში ინფორმაციის წვდომის მაღალმა შესაძლებლობამ. მისი გამოყენებით შესაძლებელია მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის და მოსახლეობის დემორალიზება.

ასევე აღსანიშნავია დისტანციურად მართვადი სისტემების გამოყენება საომარ კამპანიებში. აღნიშნული აპარატები სხვა საბრძოლო სისტემებთან შედარებით იაფია და მიზანზე ზემოქმედების ზუსტი შესაძლებლობით ხასიათდება. მისი ეფექტურობა არაერთ საომარ კამპანიაში დაფიქსირდა.

დამატებით აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს არასახელმწიფო აქტორების გამოჩენა საომარ თეატრებში. ისინი გაერთიანებული არიან რელიგიური ან სხვა, რომელიმე იდეის ნიშნის ქვეშ და დიდ საფრთხეს უქმნიან სხვა დემოკრატიულ სამყაროს მათი არატრადიციული ბრძოლის მეთოდებით.

ამრიგად ზემოთ მოცემული მეოთხე თაობის ომის ასპექტების თვისებების გათვალისწინება და მათი საწინააღმდეგოდ რელევანტური ღონისძიებების გატარება გააძლიერებს საქართველოს თავდაცვის ძალებს.

საპნაპო სიმყვამი:

ახალი თაობის ომი; საინფორმაციო ოპერაციები; არასახელმწიფო აქტორები; უპილოტო საფრენი აპარატები

ABSTRACT

As you know, war is a complex phenomenon by nature. It has been a challenge to humanity since its inception. War's tactics and strategy were dissimilar in different eras. According to military strategy it was divided into four generations.

This paper discusses specifically the important aspects of the fourth generation war, which are the current challenge for the Georgian Defense Forces. Compared to other generations of war, here we find radically different means and methods, such as: information and psychological operations, which became one of the most important and effective tools in today's world with high access to information. Using it, it is possible to demoralize the enemy's manpower and population.

The use of remotely controlled systems in military campaigns is also noteworthy. These devices are cheap compared to other combat systems and are characterized by accurate ability to impact. Its effectiveness has been observed in numerous military campaigns.

Additionally it is necessary to emphasize the appearance of non-state actors in war theaters. They are united under the sign of one religion or another, and pose a great threat to other democratic worlds by their unconventional methods of struggle.

Thus, taking into account the features of the aspects of the fourth generation war mentioned above and taking relevant measures against them will strengthen the Georgian Defense Forces.

KEYWORDS:

New generation war; Information operation; Non-state actors; Unmanned aerial vehicles

კაცობრიობის არსებობის დასაბამიდან, ომი ადამიანის მრავალფეროვნად დატვირთულ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი, მნიშვნელოვანი და მორალური თვალსაზრისით შეუსაბამო საქმიანობაა. ომი საზოგადოების გავითარებასთან ერთად განიცდიდა ევოლუციას და მასში გამოყენებული ფუნქციური, მეთოდური თუ ქვედანაყოფების გვარეობრივი სიახლეები მუდმივად წარმოადგენდა სახელმწიფოს გამომწვევას ცივილიზაციის სხვადასხვა საფეხურზე. ომის ბუნების ცვალებადობას, რომ ჩავწვდეთ აუცილებელია აღინიშნოს პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსის კარლ ფონ კლაუზევიცის მოსაზრება, რომ ომი თავისი შინაარსით სამ ვითარებას ეყრდნობა, ესენია: დაპირისპირება, ძალადობა და მონინააღმდეგის დამორჩილების ნება. მათ აღსრულებას ემსახურება ომის ორი მხარე: ობიექტური და სუბიექტური. პირველი გულისხმობს ომის აღქმას როგორც ძალადობის, შემთხვევითობის და გაურკვევლობის მდგომარეობას, სადაც დაპირისპირებული მხარეები შეიარაღებული ძალების გამოყენებით ცდილობენ პოლიტიკური მიზნის მიღწევას. ომის ობიექტური მხარე ყველა ტიპის ომისთვის იდენტურია და უცვლელად გადადის ეპოქის სხვა და სხვა საფეხურზე. მეორე, სუბიექტური მხარე მოიცავს ომში მონაწილე ძალებს, მათ დოქტრინებს, შეიარაღებას, სამოქმედო გარემოს და შეზღუდვებს, რომლებიც განიცდიან ცვლილებებს და თითოეულ საომარ კამპანიას ქმნიან უნიკალურს (Clauzewits 1989, 22-23).

სამხედრო თეორეტიკოსებმა 1648 წლიდან დაიწყეს ომის თაობებზე დაყოფა მისი სუბიექტური მხარის ცვალებადობის საფუძველზე. უილიამ სლინდის მიხედვით არსებობს ომის ოთხი თაობა: პირველი თაობის ომი ხასიათდებოდა ხაზოვანი ტაქტიკით, სადაც ბრძოლის ველზე ქვედანაყოფები იმართებოდა ცენტრალიზებულად; მეორე თაობის ომისთვის იყო ძლიერი საარტილერიო ცეცხლი და მისი სინქრონიზირებულად გამოყენება ქვეით და სატანკო შენაერთებთან; მესამე თაობის ომის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მანევრი. ამ პეროდში აქცენტი კეთდებოდა სისწრაფეზე და მოულოდნელობაზე; მეოთხე თაობის ომში ქვედანაყოფები იმართება დეცენტრალიზირებულად, აგრეთვე ქვედანაყოფებს აქვთ ინიციატივის გამოჩენის უფლება. ომის სხვა თაობებისგან განსხვავებით ამ უკანასკნელში თავი იჩინა არასახელმწიფოებრივმა ოპონენტებმა (Lind.2004.12-13). აღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარე ეპოქაში განხორციელებული საომარი კამპანიები მიეკუთვნება მეოთხე თაობის ომს, სადაც დომინანტი ძალა აღარაა სამხედრო ტექნიკა და იგი ჩაანაცვლა ისეთმა ინსტრუმენტებმა, როგორიცაა საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციები, დისტანციურად მართვადი ტექნიკა და არასახელმწიფო აქტორები. მათ ომს დაუკარგეს საზღვარი კონფლიქტს და მშვიდობას, ჯარისკაცს და სამოქალაქო პირს, ბრძოლის ველს და უსაფრთხო სივრცეს შორის. შედეგად იგი გახდა მნიშვნელოვანი გამომწვევა დღევანდელი მსოფლიოსთვის. გამონაკლისი საქართველოც არა არის. შესაბამისად, მეოთხე თაობის ომი წარმოადგენს გამომწვევას საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების როლი მეოთხე თაობის ომში. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს პრეკონფლიქტურ, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ფაზებში და მათი სამიზნე აუდიტორია არის მოსახლეობის ისეთი კატეგორია, რომლებსაც გარკვეული თვალსაზრისით დადებითი ან ნეიტრალური შეხედულება აქვთ მონინააღმდეგეზე. მათზე ზეგავლენა ხდება საინფორმაციო, სამუწყებლო საშუალებებით და სოციალური ქსელით, რომელსაც აქტიურად იყენებს ოპონენტის კიბერსამსახური. გავრცელებული თემები კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ საკითხებზე შესაბამება იმ საჭიროებებს და პრიორიტეტულ მოთხოვნებს, რომლებიც მოპოვებულია სამიზნე აუდიტორიაზე ჩატარებული გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე. მის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის დაინტერესებული ქვეყნის მიერ სამიზნე რაიონში შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, აგრეთვე გადაბირებულ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს. აღნიშნული მეთოდი უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და აღვივებს პროტესტის გამოხატვის სურვილს მათი მთავრობის წინააღმდეგ ან კონკრეტული მოვლენის შესახებ, რაც გადაიზრდება საყოველთაო სახალხო მიტინგებში. შედეგად ქვეყანაში იქმნება არასტაბილურ გარემო და ეს არის კარგი საფუძველი, რომ მონინააღმდეგე ქვეყანამ განახორციელოს პოლიტიკური ან სამხედრო ინტერვენცია სამიზნე ქვეყანაში მშვიდობიანი გარემოს შექმნის მიზნით. სტაბილური გარემოს შექმნის პროცესი წარმოადგენს ეგერდ წოდებულ ფარდას, რომლის უკან მიმდინარეობს მონინააღმდეგე ქვეყნის რეალური გეგმები, რაც საბოლოოდ მთავრდება სამიზნე ქვეყნის ანექსიით ან მისთვის სასურველი მთავრობის ხელისუფლებაში მოყვანით. 2014 წლის რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია წარმოადგენს საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაციების კარგ მაგალითს. სამი კვირის განმავლობაში აღნიშნულმა ოპერაციებმა გამოიწვია სამხედროების დემორალიზება. ისინი გახდნენ ბრძოლის უუნარონი, რამაც საბოლოოდ გაადვილა რეგიონის ანექსია (Sokolov and Hadjitodorov. 2018, 11). საქართველოში ჯავახეთის რეგიონი წარმოადგენს ყველაზე მოწყვლად გარემოს საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციებისადმი, რადგან მოსახლეობის 50% არის ეთნიკურად სომეხი. მათი უმეტესობა სამუშაოდ დადის რუსეთის ფედერაციაში და აქვთ ორმაგი მოქალაქეობა, ასევე რეგიონში საინფორმაციო მუწყებლობა რუსულ ენაზეა. ასეთი ვითარება ამარტივებს

რუსეთის მიერ არასტაბილური გარემოს შექმნას შემდეგ სამხედრო ინტერვენციის მიზნით. შესაბამისად, აღნიშნულ რეგიონში შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის ძალების გამოწვევა არის საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციები.

ასევე მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვით დისტანციურად მართვადი ტექნოლოგიების, კერძოდ უპილოტო სააფრენი აპარატების მასიურად გამოყენებას სამხედრო კამპანიებში, რაც ერთ-ერთი მახასიათებელია მეოთხე თაობის ომისთვის. მოცემული სისტემის უპირატესობა არის სიზუსტე და დაბალი ფასი. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს მათ მიერ განადგურების პროცესის გადაღებული ვიდეო კადრების გავრცელების შედეგად მიღებული უარყოფითი ფსიქოლოგიური ეფექტი მოწინააღმდეგის ჯარისკაცებზე. დრონების და უპილოტოების გამოყენების პირველი მაგალითი იყო 2014 წლის რუსეთ-უკრაინის ომი. სადაც უკრაინული დაზიანებული, განადგურებული ტექნიკის 85% გამოწვეული იყო, უპილოტოს და არტილერიის ინტეგრირების შედეგად (Freedberg and Sydney.2015). აღნიშნული ტექნოლოგია დაიხვეწა და უფრო ეფექტურად გამოყენეს ამერბაიჯანელმა 2020 წლის ყარაბაღის ომში. ამერბაიჯანელმა თანამედროვე დისტანციურად მართვადმა აპარატებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს სომხეთის წინააღმდეგ გამართულ სამხედრო კამპანიის მოგებაში. კამიკაძე დრონების საშუალებით ხდებოდა მაღალი სარგებლობის მიზნების განადგურება და აგრეთვე სანგრებში ინდივიდუალურ ჯარისკაცებზე თავდასხმა. ასევე ამერბაიჯანული ძალები უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით მოიპოვებდნენ სადაზვერვო ინფორმაციას, რომელსაც არ სჭირდებოდა ანალიზი და მისი საფუძველზე ხდებოდა პირდაპირ ადეკვატური ზემოქმედება სამიზნეზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა რეაგირებს დროს. გარდა ამისა, ამ კონფლიქტის განმავლობაში ამერბაიჯანული მხარე ავრცელებდა დრონების ეფექტების კადრებს, რომლებმაც გამოიწვია სომხური მხარის დემორალიზება (Dixon.2020). აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულმა დისტანციურად მართვადმა სისტემამ გარდამტეხი წვლილი შეიტანა ამერბაიჯანული შეიარაღებული ძალების მიერ ყარაბაღის ომის მოგებაში.

საქართველოს გააჩნია კონფლიქტური რეგიონები, სადაც განლაგებულია რუსული დანაყოფები. ისინი აქტიურად წერგავენ ახალ ტექნოლოგიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მიღწევები თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატების შექმნაში და ამ სისტემებით შეიარაღებული ძალების დაკომპლექტებაში (Mcdermot. 2021). შესაბამისად მომავალში არის შესაძლებელი, რომ კონფლიქტური რეგიონები გახდნენ სამხედრო დაპირისპირების მიზეზი, სადაც რუსეთი გამოიყენებს უპილოტოებს და დრონებს. შედეგად საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის დისტანციურად მართვადი აპარატები წარმოადგენს გამოწვევას და მნიშვნელოვანია ადეკვატური ღონიძიებების გატარება, რათა არ ჩამორჩეს ტექნოლოგიურ განვითარებას და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს მოწინააღმდეგის ქმედებებზე.

ამის გარდა მეოთხე თაობის ომის წარმოების შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორია არასახელმწიფოებრივი აქტორები, სადაც იგულისხმება ტერორისტული ორგანიზაციები. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო ტერორისტული ორგანიზაციების განვითარებას. მათ წვდომა აქვთ თითქმის ყველანაირი ტიპის იარაღზე, საინფორმაციო წყაროებზე, ტექნოლოგიებზე, კიბერ შესაძლებლობებზე. ისინი მსოფლიოს სხვა და სხვა რეგიონებიდან ახორციელებენ მოსახლეობის რეკრუტირებას, იღებენ დაფინანსებას, ქმნიან რეგულარულ არმიებს, წრთვნიან კამიკაძე მებრძოლებს. ტერორისტული ორგანიზაციები უპირისპირდებიან სახელმწიფოებს არატრადიციული მეთოდებით და ხშირად გარკვეულ წარმატებასაც აღწევენ. შედეგად ქმნიან არასტაბილურ გარემოს და აფერხებენ ქვეყნების განვითარებას. აღნიშნული ფაქტორის ნათელი მაგალითია ჰეზბოლა-ისრაელის დაპირისპირება 2006 წელს, სადაც ჰეზბოლამ ისრაელის წინააღმდეგ გამოიყენა ახალი სამხედრო ტექნოლოგიები, საინფორმაციო ომის ელემენტები და კამიკაძე მებრძოლები. შედეგად 34 დღიან ომში მათ დაამარცხეს ისრაელის რეგულარული არმია (Vance. 2016.1-2.).

საქართველოს გააჩნია სენსიტიური რეგიონები: პანკისი, აჭარა და ქვემო ქართლი, სადაც მუსლიმანური მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს. განსაკუთრებით საყურადღებოა პანკისის ხეობა, საიდანაც ერთ-ერთი ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ ახდენდა ახალგაზრდების რეკრუტირებას თავისი შეიარაღებული ძალებისათვის. აგრეთვე აღნიშნულმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ 2015 წელს შექმნა „კავკასიის ვილაიეთი“ ,რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის მიმდებარე რეგიონში მოქმედებს (გოგუაძე და კაპანაძე.2015.6). დამატებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს რუსეთის ფედერაციის გაცხადებული პოლიტიკა, რომ ისინი ებრძვიან ტერორისტული ორგანიზაციებს, იქ სადაც ხდება მათი მომზადება და რეკრუტირება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შესაძლებელია მოხდეს დაშვება, რომ საფრთხე მოსალოდნელია როგორც ისლამური სახელმწიფოსგან ისე რუსეთის ფედერაციისგან. შესაბამისად არასახელმწიფოებრივი აქტორები წარმოადგენს გამოწვევას საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის.

დასკვნის სახით მნიშვნელოვანია აღინიშნოს კალუზევიცის მიერ განსაზღვრული ომის სუბექტური

მხარის, ახალი ინსტრუმენტების არალეგალური და ლეგალური ეფექტების მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვის ძალებთან მიმართებაში. მოწინააღმდეგის მიერ წარმოებული საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების ზეგავლენა მშვიდობიან მოსახლეობაზე, საჯარისო შენაერთების მორალურ მდგომარეობაზე სავალალო შედეგს იძლევა პრეკონფლიქტურ, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ პერიოდებში. ახალი ტექნოლოგიები, კერძოდ დისტანციურად მართავდი სისტემები, მათი მაღალი ლეტალობის ხარისხის საფუძველზე ცალსახად განსაზღვრავენ თუ ვინ იქნება დომინანტი კონკრეტულ სამხედრო კონფლიქტში. ბოლოს აუცილებელია ხაზი გაესვას არასახელმწიფო აქტორების მიერ გამოწვეულ დესტაბილიზაციას, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის განვითარების კურსს დადებითიდან უარყოფითის მიმართულებით. მოცემული ნაშრომის საფუძველზე ნათელია, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები ზემოთ აღნიშნული მეოთხე თაობის ომის ინსტრუმენტებისადმი მოწყვლადია, შესაბამისად ისინი ამაჟამად წარმოადგენენ მის გამოწვევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგუაძე, გიორგი. კაპანაძე, სერგი. 2015. დაუძი და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები. პოლიტიკის დოკუმენტი. თბილისი. საქართველოს რეფორმების ასოციაცია.
<https://grass.org.ge/uploads/other/2019-02-27/371.pdf> 21.03.2021
2. Clausewitz Carl Von. 1989. On War. New Jersey. Princeton University Press.
<https://antilogicalism.com/wp-content/uploads/2019/04/on-war.pdf>. 19.03.2021
3. Dixon, Robyn. 2020. Azerbaijan's drones owned the battlefield in Nagorno-Karabakh — and showed future of warfare. The Washington Post. November 12.
https://www.washingtonpost.com/world/europe/nagorno-karabakh-drones-azerbaijan-aremenia/2020/11/11/441bcbd2-193d-11eb-8bda-814ca56e138b_story.html. 20.03.2021
4. Freedberg, Jr. Sydney, J. 2015. Russian Drone Threat: Army Seeks Ukraine Lessons. Defense. October 14.
<https://breakingdefense.com/2015/10/russian-drone-threat-army-seeks-ukraine-lessons/>. 20.03.2021
5. Lind, S, William. 2004. Understanding Fourth Generation War. Military Review. Washington. Department of Defense.
<file:///C:/Users/User/Downloads/482203.pdf> 31.05.2021
6. Mcdermot, Roger. 2021. Russia UAV Technology and Loitering Munitions. The Jamestown Foundation Global Research and Analysis. May 5.
[https://jamestown.org/program/russian-uav-technology-and-loitering-munitions/#:~:text=During%20the%20ongoing%20modernization%20of,combat%20aerial%20vehicles%20\(UCAV\).&text=Kalashnikov%20Concern%20announced%20that%20the,completed%20tests%20in%20July%202019](https://jamestown.org/program/russian-uav-technology-and-loitering-munitions/#:~:text=During%20the%20ongoing%20modernization%20of,combat%20aerial%20vehicles%20(UCAV).&text=Kalashnikov%20Concern%20announced%20that%20the,completed%20tests%20in%20July%202019) 01.06.2021
7. Sokolov Martin, Hadjitorov Stefan. 2018. Blending New-generation Warfare and Soft Power: Hybrid Dimensions of Russia-Bulgaria Relations. The Quarterly Journal. No 1. (January).
https://www.researchgate.net/publication/328116210_Blending_New-generation_Warfare_and_Soft_Power_Hybrid_Dimensions_of_Russia-Bulgaria_Relations. 20.03.2021
8. Vance, R, James. 2016. 2006 Israeli-Hezbollah War: a Fight of Operational Synchronization. Naval War College. June 15.
<file:///C:/Users/User/Downloads/813662.pdf>. 20.03.2021

**ომის წარმოების თანამედროვე საშუალებების
გამოყენების მნიშვნელობა და გამოწვევები**

**THE IMPORTANCE AND CHALLENGES OF USING MODERN
MEANS OF WAR PRODUCTION**

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE

მაიორი გიორგი მაისურაძე
ინჟინერიის დოქტორი

MAJOR GIORGI MAISURADZE
DOCTOR OF ENGINEERING

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ომის წარმოების თანამედროვე საშუალებების, მეთოდების და ხერხების გამოყენების შესაძლებლობები, როგორცაა კიბერშეტევა, გერასიმოვის დოქტრინის გამოყენება, დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება. დღესდღეისობით მოხდა სახელმწიფოებს შორის ფართომასშტაბიანი კონფლიქტების ტანსფორმაცია, რაზეც გავლენა მოახდინა სწრაფად განვითარებულმა თანამედროვე ტექნოლოგიებმა. სახელმწიფოები დღესდღეისობით სხვადასხვა სახის ომის წარმოებისთვის იყენებენ ეროვნული სიძლიერის ინსტრუმენტებს და მათი მეშვეობით ცდილობენ მიაღწიონ სასურველ საბოლოო შედეგს. მონინალმდევე ეფექტურად იყენებს ახალი თაობის ომების წარმოებისთვის სხვადასხვა მეთოდებს რამაც შეიძლია მიაყენოს ზიანი. მაგალითისთვის შეგვიღია მოვიყვანოთ კიბერშეტევა, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ ჩაიგდონ ხელში სხვადასხვა სახის ინფორმაციები, როგორც საიდუმლო ისე არასაიდუმლო, ასევე მათი გამოყენებით მოსახლეობა გამოიყენონ იარაღად, რომ მოახდინონ სახელმწიფოს მიმართ მტრული განწყობა. ასევე შეგვიძლია ვთქვათ უპილოტო საფრენი აპარატებით განხორციელებული წერტილოვანი ზიანის მიყენება მონინალმდევეზე, რასაც დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. ახალი თაობის ომებს ზემოთ მოყვანილი მეთოდებით შეგვიძლია გამოვიყენოთ. ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა მეთოდები რაც დღესდღეისობით მკაფიოდ არ არის გამოსახული, რომლის დახვეწა და გაუმჯობესება ხდება ნელ ნელა. საქართველოს თავდაცვის ძალებმა ეს ყველაფერი მაქსიმალურად უნდა გაანალიზოს და გაითვალისწინოს თუ რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს დღეს ახალი თანამედროვე ომების გამოწვევების მიმართ. უნდა მოხდეს კიბერშეტევებისაგან თავის დასაცავად ყველა ღონისძიებების გატარება, სამხედროებში შესაბამისი წვრთნებისა და სწავლებების ჩატარება ახალი თაობის ომებს თუ რა ზიანი შეუძლია მიაყენოს როგორც სახელმწიფოს ასევე თავდაცვის ძალებს.

საკვანძო სიტყვები:

თანამედროვე ომი, კიბერშეტევა, უპილოტო საფრენი აპარატები, გერასიმოვის დოქტრინა.

ABSTRACT

The paper discusses the possibilities of using modern means, methods and techniques of combat war production, such as cyber-attack, the use of Gerasimov's doctrine, the use of drones. Large-scale conflicts between states have been transformed to the present day, influenced by rapidly evolving modern technologies. States today use the tools of national power to wage various kinds of war and through them try to achieve the desired end result. The adversary effectively uses various methods to produce a new generation of wars that can cause damage. For example, we can cite a cyber attack, through which they can capture various types of information, both secret and non-secret, as well as use them as a tool for the population to take a stand against the state. We can also say point damage done to the opponent by unmanned aerial vehicles, which can cause great damage. We can use the new generation of wars with the above methods. Various methods can also be used which are not clearly depicted today, which are being refined and improved slowly. The Georgian Defense Forces must analyze all this as much as possible and take into account the challenges it may face today in relation to the challenges of the new modern wars. All measures must be taken to protect oneself from cyber-attacks, to conduct appropriate exercises and exercises in the military, to the new generation of wars, and what damage can be done to both the state and the defense forces.

KEYWORDS:

Modern warfare, cyber-attack, unmanned aerial vehicles, Gerasimov doctrine.

მსოფლიოში არსებული ქვეყნები დღესდღეობით ყველაზე დიდი გამოწვევის წინაშე იმყოფებიან, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ტიპის თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნით და გავრცელებით. ამ ტექნოლოგიების შექმნამ ომის წარმოების მეთოდებს და ხერხებს თავისი კვალი დაასვა. აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენებამ წარმოშვა ახალი ტერმინი, რომელსაც ეწოდება „ახალი თაობის ომი“. ახალი თაობის ომში იგულისხმება სამხედრო და არასამხედრო საშალებებით კოორდინირებული მოქმედება. ახალი თაობის ომს სახელმწიფოები მიმართავენ თავიანთი სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ვინაიდან ცდილობენ თავი აარიდონ ფართომასშტაბიან ომებს და ძირითადად ზენოლა მოახდინონ ეროვნული სიძლიერის ინსტრუმენტებს, რომლის ეფექტური გამოყენებით ახორციელებენ სასურველი საბოლოო შედეგის მიღწევას. დღესდღეობით ახალი თაობის ომში ზღვარი ნაშლილია ომსა და პოლიტიკას შორის ასევე სამხედროსა და სამოქალაქო შორის. ახალი თაობის ომი მოიცავს ნებისმიერ ომს, სადაც ერთ-ერთი მხარე არ არის სახელმწიფო და არის ძალადობრივი არა-სახელმწიფო მხარე.

ახალი თაობის ომებში მსოფლიო ქვეყნებთან ერთად საქართველოც გამოწვევის წინაშე დგას, სადაც შეიძლება მოხდეს სხვადასხვა სახის ძალადობრივი სქემების გამოყენება, როგორცაა: კიბერშეტევები, მოსახლეობის პირადი მონაცემების გამოქვეყნება, ქვეყნის ტერიტორიაზე პროპაგანდის გავრცელება, როგორც მედია საშუალებებით ისე სოციალური ქსელების დახმარებით და ა.შ. რომელიც დაამიანებს სახელმწიფოს სიძლიერეს, როგორც სამხედრო ასევე სამოქალაქო განვითარების მხრივ.

დღესდღეობით ახალი თაობის ომებში მონიშნულმდეგ იყენებს სხვადასხვა ძალადობრივ სქემას, რომლის მეშვეობითაც შეიტანს დესტაბილიზაციას ქვეყნის სუვერენიტეტზე და მოქალაქეების უნდობლობას ხელისუფლების მიმართ. ასეთი მაგალითია გერასიმოვის დოქტრინა, რომელშიც ბრძოლა საინფორმაციო ველზე გადის, რაც რუსეთის მიერ გამოყენებული იქნა უკრაინაში ყირიმის ანექსიის დროს და ასევე სხვადასხვა სახის კერების შექმნაში ღონისძიება.

„დოქტრინის თანახმად, «ახალი თაობის ომი» გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: ა) სამხედრო მოქმედებები იწყება მშვიდობიან პერიოდში, ანუ ოფიციალურად ომი გამოცხადებული არ არის; ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების ნაცვლად, კონფლიქტი ხასიათდება მცირე მასშტაბის, ლოკალური შეტაკებებით; ბ) ადგილი აქვს საბრძოლო მოქმედებებში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების და შეიარაღებული სამოქალაქოების გამოყენებას; გ) ბრძოლა მიმდინარეობს არა 3, არამედ 4 სივრცეში: ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე“.

(პიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში)

ჰაკერული დაჯგუფება აღმოჩენილი იქნა სადაზვერვო კომპანია FireEye-ს მიერ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიას წარმოადგენს. მათი ინფორმაციით ამ დაჯგუფებას მართავს რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახური. კომპანიის განცხადებით, რომელსაც პირობითად დაერქვა „APT28“ თავდაცვისა და გეოპოლიტიკურ საკითხებზე აგროვებდა ინფორმაციას, რაც სხვა შემთხვევებისგან განსხვავდებოდა, როდესაც მიზნის მიღწევა წარმოადგენს კომერციულ ინფორმაციას. თავდაცვისა და გეოპოლიტიკური საკითხები მხოლოდ არის საინტერესო მთავრობისთვის. „APT28“ შეტევებს მხოლოდ იმ მიმართულებით ახორციელებდა, რომელიც რუსეთის საერთაშორისო ინტერესებს წარმოადგენდა. „APT28“-ს მიერ ძირითადი სამი მიმართულება იყო: კავკასიონის რეგიონი კერძოდ საქართველო, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონიდან უნგრეთი და პოლონეთი და ევროპული უსაფრთხოების ორგანიზაციები ნატო და ეუთო. ჰაკერულმა დაჯგუფებამ, როგორც ირკვევა სულ მცირე ორჯერ განახორციელა თავდასხმა საქართველოს შსს-ზე. პირველი შემთხვევა მოხდა 2013 წლის შუა პერიოდში, რომელიც თავის საქმიანობას ნიღბავდა შსს-ს ჩვეულებრივი ელფოსტის სახით. რა დროსაც იგზავნებოდა ელფოსტის მეშვეობით ვირუსის შემცველი დოკუმენტი, სადაც ერთი შეხედვით იყო ჩამონათვალი მართვის მონმობის ნომრები, როდესაც ხდებოდა ფაილის გახსნა ან რომელიმე კომპიუტერზე გადაგზავნა ფაილის ეს ვირუსული პროგრამა ცდილობდა შსს-ს სერვერებთან დაემყარებინა კავშირი, რის შედეგადაც შეეძლებოდა განეხორციელებინა შსს-ს ოფიციალური ელფოსტის მისამართის, mia.gov.ge-ს საშუალებით მიმოწერა. შსს-ს სერვერებთან როდესაც ხდებოდა დაკავშირება „APT28“ გზავნიდა ელფოსტას. ელფოსტის სათაურში იყო მითითებული მართვის მონმობის შესახებ ინფორმაცია, სინამდვილეში მიმავრებული დოკუმენტი წარმოადგენდა ინფორმაციას სისტემური დაზვერვის შესახებ. ამ ელფოსტის გამოყენებით სადაც სათაურში იყო მითითებული ინფორმაცია მართვის მონმობის შესახებ ჰაკერული ჯგუფი ნაკლებად დაცული გზით მოიპოვებდა ინფორმაციას, შესაბამისად ჰაკერული საქმიანობის აღმოჩენის შესაძლებლობა ეზღუდებოდათ შსს-ს ქსელის უსაფრთხოების თანამშრომლებს. ასევე მოხდა გამორკვევა იმის რომ ამ ჰაკერული ჯგუფის მიერ მოხდა შეტევა თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ს კონტრაქტორზე, რომელიც მუშაობს საქართველოში. მისი საქმიანობა იყო რჩევების მიწოდება თავდაცვის ძალებისთვის, სამხედრო შესაძლებლობების შეფასება და სამხედრო წვრთნის შემუშავების პროგრამა. ამ შემთხვევაში ჰაკერულმა ჯგუფმა გამოიყენა დოკუმენტი სადაც მითითებული იყო

დაბადების დღეების ჩამონათვალი არსებული სამუშაო ჯგუფში შემავალი თანამშრომლების. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ასევე განხორციელდა კიბერ შეტევა 2020 წელს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე კერძოდ რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიაზე სადაც განხორციელდა არსებული ინფორმაციის მოპოვება მონაცემთა ბაზიდან.

საქართველოს თავდაცვის ძალებმა ანალოგიური თავდასხმებისგან თავი, რომ აირიდოს სასურველია ქსელის უსაფრთხოების თანამშრომლების მომზადება და გადამზადება პარტნიორ ქვეყნებთან, სხვადასხვა კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების მიზიდვა, თანამედროვე უსაფრთხოების პროგრამული სისტემების და სერვერების შეძენა, მონაცემების ბაზების გაუმჯობესება და უფრო დაცულად შენახვა, რათა არ მოხდეს ადვილად თავდასხვა სხვადასხვა ქვეყნიდან ჰაკერული ჯგუფების მიერ.

მსოფლიოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება, კერძოდ როგორცაა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება საბრძოლო მოქმედებების დროს დიდი წვლილი შეიტანა ახალი თაობის ომის განვითარებაში. მათი დადებითი მხარე გამოიხატება საბრძოლო დამრტყმელ, სადაზვერვო და კამიკაძე უპილოტოებში ვინაიდან მათი დახმარებით შეიძლება შეიცვალოს ფართობაშტაბიანი კონფლიქტების ბედი. უპილოტო საფრენი აპარატების ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ 2020 წლის სექტემბერ-ნოემბრის კონფლიქტი ყარაბაღის ტერიტორიაზე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, სადაც საბრძოლო დამრტყმელ, სადაზვერვო და კამიკაძე უპილოტოები ეფექტურად იყო გამოყენებული აზერბაიჯანის მხრიდან.

ბოლო ფართომასშტაბიანი ომი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რომელიც დაიწყო 2020 წლის 27 სექტემბერს აზერბაიჯანის მხრიდან იქნა გამოყენებული თურქული და ისრაელის უპილოტო საფრენი აპარატები. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს მიერ სხვადასხვა ინტერნეტ გვერდებზე იქნა ასახული ვიდეოკადრები თუ როგორ ხდებოდა აზერბაიჯანული უპილოტო საფრენი აპარატების მიერ განადგურება სომხური შეიარაღებული ძალების ტექნიკის და პირადი შემადგენლობის. აღსანიშნავია მთიან ყარაბაღის კონფლიქტში უპილოტო საფრენი აპარატების გამარჯვება, სადაც გამოყენებული იყო რაკეტებით და ბომბებით შეიარაღებული საბრძოლო დამრტყმელი და კამიკაძე უპილოტო საფრენი აპარატები. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება საკმაოდ ეფექტური და იდეალური იარაღია აზერბაიჯანისა და სომხეთის მსგავსი ტიპის ფართომასშტაბიან კონფლიქტებში, ვინაიდან საბრძოლო ან მოიერიშე შვეულმფრენებთან და თვითმფრინავებთან შედარებით მათი შეძენა მომსახურება იაფი ჯდება, ასევე მათ მიერ წარმოებული ცეცხლი საკმაოდ ზუსტია და ასევე შეიძლება ითქვას რომ საბრძოლო დავალებების შესრულების დროს პილოტების სიკვდილის რისკი გაცილებით შემცირებულია. უპილოტო საფრენი აპარატები ეფექტურ იარაღს წარმოადგენს საბრძოლო დავალებების დროს კავკასიის რეგიონის რთული რელიეფიდან გამომდინარე. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღის კონფლიქტში ეფექტურად იქნა გამოყენებული აზერბაიჯანის მხრიდან საბრძოლო დამრტყმელ, სადაზვერვო და კამიკაძე უპილოტო საფრენი აპარატები, რამაც აზერბაიჯანულ მხარეს მოუტანა წარმატება. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებამ კიდევ ახალი თაობის ომებში სრულიად განსხვავებული ხერხები და მეთოდები დაგვანახა.

ეს ყოველივე საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის დასაფიქრებელი მომენტია ვინაიდან საქართველოსთვის დღესდღეობით მონინალმდევე ჰყავს ჩრდილოეთ მიმართულებაზე, რომელსაც ოკუპირებული აქვს ორი რეგიონი საქართველოსი, უნდა განახორციელოს დეტალური ანალიზი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტის. საქართველოს თავდაცვის ძალებმა უნდა განახორციელონ შეძენა თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემების როგორებიცაა გადასატანი და მობილური საზენიტო სარაკეტო სისტემები ასევე რადიოლოკაციური სადგურები, რომლებსაც შეეძლება უპილოტო საფრენი აპარატებიდან დანყებული ყველანაირი საფრენი აპარატების დაფიქსირება (რაკეტები, შვეულმფრენები, თვითმფრინავები და ა.შ) ვინაიდან მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ ყველანაირი გამოწვევების საპასუხოდ. ასევე აუცილებელია საქართველოს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში იყოს საბრძოლო დამრტყმელ, სადაზვერვო და კამიკაძე უპილოტოები და მათი პირადი შემადგენლობა იყვეს მომზადებული, რომ შეძლონ საბრძოლო დავალების შესრულება.

ახალი თაობის ომებში შეგვიძლია ასევე ვთქვათ, რომ შეიძლება გამოყენებული იყოს სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფები განსხვავებული ფორმით, რომელიც იყო გამოყენებული ყირიმის ანექსიის დროს და მათ შეარქვეს ე.წ. „მწვანე კაცუნები“, რომლებიც ყველანაირი განმასხვავებელი ნიშნების არმქონდე მწვანე ფორმებით იყვნენ შემოსილენი და შეიარაღებულენი. „მწვანე კაცუნები“-ს მიერ დაკავებული იყო სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტები, სადაც მოხდა რუსული დროშების აღმართვა. ასევე ხდებოდა ალყაში მოქცევა ყირიმის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა სამხედრო ბაზების და უნდოდათ დაემყარებინათ კონტროლი. როდესაც რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს ეკითხებოდნენ რუსული სამხედროები იყვნენ თუ არა ყირიმის ტერიტორიაზე, აცხადებდნენ, რომ ადგილობრივმა რუსმა მოსახლეობამ

შექმნა ეს ჯგუფები, რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ ყირიმში მცხოვრები რუსი მოსახლეობა უკრაინელების აგრესიისაგან.

ასეთი შემთხვევაც საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის არის ძალიან სერიოზული გამოწვევა და შესაბამისად თავდაცვის ძალებში უნდა მოხდეს პირადი შემადგენლობის მაქსიმალურად ინფორმირება და ასევე შესაბამისი წვრთნები, ვინაიდან თავდაცვის ძალების მხრიდან დროულად მოხდეს აღმოჩენა აღნიშნული ჯგუფების რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

ზემოთაღნიშნული, რომ შევაჯამოთ დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღესდღეისობით რთული გამოწვევების წინაშე იმყოფებიან სახელმწიფოები, რადგან ეს გამოწვევები განპირობებულია ახალი თაობის ომების მეთოდების და ხერხების გამოყენებით. დღესდღეისობით სახელმწიფოებს შორის თუ ხდებოდა ფართომასშტაბიანი კონფლიქტები სამხედრო ძალის მეშვეობით მოხდა ტანსფორმაცია და სულ სხვაგვარად წარმოდგა აღნიშნული მოვლენა, რასაც ძირითადი მნიშვნელობას წარმოადგენს საკმაოდ სწრაფად განვითარებულმა თანამედროვე ტექნოლოგიებმა. სახელმწიფოები დღესდღეისობით სხვადასხვა სახის ომის წარმოებისთვის იყენებენ ეროვნული სიძლიერის ინსტრუმენტებს და მათი მეშვეობით ცდილობენ მიაღწიონ სასურველ საბოლოო შედეგს. მოწინააღმდეგე ეფექტურად იყენებს ახალი თაობის ომების წარმოებისთვის სხვადასხვა მეთოდებს რამაც შეიძლია მიაყენოს ზიანი. მაგალითისთვის შეგვილია მოვიყვანოთ კიბერშეტევა, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ ჩაიგდონ ხელში სხვადასხვა სახის ინფორმაციები, როგორც საიდუმლო ისე არასაიდუმლო, ასევე მათი გამოყენებით მოსახლეობა გამოიყენონ იარაღად, რომ მოახდინონ სახელმწიფოს მიმართ მტრული განწყობა. ასევე შეგვიძლია ვთქვათ უპილოტო საფრენი აპარატებით განხორციელებული წერტილოვანი ზიანის მიყენება მოწინააღმდეგეზე, რასაც დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. ახალი თაობის ომებს ზემოთ მოყვანილი მეთოდებით შეგვიძლია გამოვიყენოთ. ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა მეთოდები რაც დღესდღეისობით მკაფიოდ არ არის გამოსახული, რომლის დახვეწა და გაუმჯობესება ხდება ნელ ნელა. საქართველოს თავდაცვის ძალებმა ეს ყველაფერი მაქსიმალურად უნდა გაანალიზოს და გაითვალისწინოს თუ რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს დღეს ახალი თანამედროვე ომების გამოწვევების მიმართ. უნდა მოხდეს კიბერშეტევებისაგან თავის დასაცავად ყველა ღონისძიებების გატარება, სამხედროებში შესაბამისი წვრთნებისა და სწავლებების ჩატარება ახალი თაობის ომებს თუ რა ზიანი შეუძლია მიაყენოს როგორც სახელმწიფოს ასევე თავდაცვის ძალებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ომის თაობები, თ.გ.
<https://geoarmada.wordpress.com/2013/03/13/%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/> (25.05.2021)
2. ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში, 10.07.2017
<http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/> (25.05.2021)
3. რუსმა ჰაკერებმა საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევა განახორციელეს
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/167759/1/Alia_2014_N161.pdf
4. როგორ მალავდა და შემდეგ როგორ აღიარა რუსეთმა ყირიმში შეჭრა, 28.02.2019
<https://www.amerikiskhma.com/a/how-russia-denied-crimea-invasion-then-admitted-it/4806788.html> (26.05.2021)
5. რუსეთი და ყირიმი. ანუ, როგორ აღიარო ის, რასაც თავგამოდებული უარყოფდი, 26.02.2019
<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%93%E1%83%98/29792306.html> (26.05.2021)
6. IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2020. კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე და რუსული კვალი.
https://idfi.ge/ge/strategy_of_russian_cyber_operations (25.05.2021)

**ახალი თაობის ომების დამახასიათებელი ასპექტები და
გამოწვევები საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე**

**CHARACTERISTIC ASPECTS AND CHALLENGES OF THE NEW
GENERATION OF WARS IN FRONT OF
THE GEORGIAN DEFENSE FORCES**

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE

მაიორი გიორგი მოსულიშვილი

MAJOR GIORGI MOSULISHVILI

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ახალი თაობის ომების დამახასიათებელი ასპექტები და გამოწვევები საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე. ახალი თაობის ომების ძირითად დამახასიათებელ ასპექტებს მაღალტექნოლოგიური სისტემები და ჰიბრიდული მოქმედებები წარმოადგენს. მაღალტექნოლოგიური სისტემები და ჰიბრიდული მოქმედებები ფართო მსჯელობის საგანია, თუმცა სტატიაში განხილულია საჰაერო, კიბერ და საინფორმაციო სფეროების მნიშვნელობა ახალი თაობის ომების თეორიაში. მასში, მოყვანილია კონკრეტული მაგალითები და არგუმენტები, უახლოეს წარსულში, ყარაბაღის ომში გამოკვეთილი მაღალტექნოლოგიური საბრძოლო სისტემების და საქართველოს უშუალო მონააღმდეგის, რუსეთის მიერ, საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებული ჰიბრიდული მოქმედებები, რითიც მან შექმნა დესტაბილიზაციის კერები და მიაღწია დასახულ მიზნებს ოკუპაციის სახით. ასევე, მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, სტატია მოიცავს საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე გამოწვევებსა და განვითარების გზებს, რათა რეგიონში შეინარჩუნოს ანგარიშგასაწევი ძალის სტატუსი და იყოს მზად თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირებისათვის.

საპასუხო სიტყვები:

ჰიბრიდული მოქმედებები; მაღალტექნოლოგიური სისტემები; უპილოტო აპარატები; ინფორმაციული ომი.

ABSTRACT

The article discusses the characteristic aspects of the new generation of wars and the challenges facing the Georgian Defense Forces. High-tech systems and hybrid operations are the main features of the new generation of wars. High-tech systems and hybrid operations are widely discussed, although the article discusses the importance of the air, cyber, and information fields in the theory of next-generation warfare. It cites specific examples and arguments of hybrid actions taken by Russia, Georgia and Ukraine in the recent past, the high-tech combat systems highlighted in the Karabakh war, and Georgia's direct adversary, to create destabilization hotspots and achieve the goals of occupation. Also, based on the above reasoning, the article covers the challenges and ways of development of the Georgian Defense Forces in order to maintain the status of an accountable force in the region and to be ready to respond to modern challenges.

KEYWORDS:

Hybrid actions; High-tech systems; Unmanned aerial vehicles; Information war

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ ომების თაობა, ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა, რომელთა ათვლაც 1648 წლიდან იწყება. თითოეული მათგანი ხასიათდება მისეული შეიარაღებით, სამხედრო ტექნოლოგიებითა და ტაქტიკით. შესაბამისად, ომების თაობებზე დაყოფა მიუთითებს ომების ტრანსფორმაციასა და სამხედრო ხელოვნების ეტაპობრივ განვითარებაზე. აქვე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ომების წარმოება იწვევდა დიდი ოდენობით სამოქალაქო მსხვერპლსა და იმფრასტრუქტურულ ზიანს, რაც ხშირ შემთხვევაში არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა სამხედრო მიზნების მისაღწევად. აქედან გამომდინარე შეიმუშავეს საყოველთაოდ მიღებული კანონები და წესები, რომლებიც ომის წარმოების გაცილებით უფრო ადამიანურ და სამართლებრივ მიდგომებს ისახავს მიზნად. მიუხედავად საყოველთაოდ მიღებული წესებისა და კანონებისა, დღევანდელი მსოფლიო, გარკვეული პრობლემების წინაშე დგას, რადგან ახალი თაობის ომების დამახასიათებელ ასპექტებს მაღალტექნოლოგიური შეიარაღება, ხოლო ომის წარმოების მეთოდს ჰიბრიდული მოქმედებები წარმოადგენს. „ჰიბრიდულ ომს უწოდებენ სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებებისა და კონვენციური, არარეგულარული (პარტიზანული და ასიმეტრიული), ტერორიზმის, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდების ერთობლივ, კოორდინირებულ, ღია და ფარულ გამოყენებას“ (<http://eugeorgia.info> 2017). მაგალითის სახით, შეგვიძლია გავიხსენოთ, უახლოეს წარსულში, აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღში წარმოებული მაღალტექნოლოგიური, ხოლო რუსეთის მიერ ყირიმსა და საქართველოში განხორციელებული ჰიბრიდული მოქმედებები. რუსეთმა, შესუსტა სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილებები უკრაინისა და საქართველოს გარკვეულ რეგიონებში და ხელოვნურად შეიქმნა დესტაბილიზაცია, ხოლო შემდეგ ფარული, ღია და ირიბი ჩარევებით მოახდინა ამ რაიონების ოკუპაცია. „რუსეთმა მეთოდები საქართველოსთან დახვეწა და შემდეგ უფრო ეფექტურად უკრაინაში გამოიყენა; სწორედ რუსეთის აგრესია უკრაინაში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჰიბრიდული ომის ნათელი მაგალითებია“ (ბეგოიძე 2015). შესაბამისად, ახალი თაობის ომის გამოწვევები, საქართველოს თავდაცვის ძალებისგან, მოითხოვს მაღალტექნოლოგიურ განვითარებას, როგორც საბრძოლო სისტემებთან მიმართებაში, ასევე, კიბერ შესაძლებლობებისა და საინფორმაციო ბრძოლების კუთხით.

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მაღალი ტექნოლოგიებითა და თანამედროვე სისტემებით აღჭურვილი და მომზადებული სამხედრო ძალები უზრუნველყოფს სახელმწიფო ძლიერებას, რადგან ის წარმოადგენს ერთერთს ეროვნული სიძლიერის ინსტრუმენტებიდან. გარდა ამისა, სამხედრო ძალა უზრუნველყოფს პოლიტიკური მიზნების მიღწევას არა დიპლომატიური გზებისა და საშუალებების გამოყენებით. მაგალითისთვის, გავიხსენოთ უახლოეს წარსულში აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღში მოპოვებულ წარმატება.

„წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, ბრძოლის ველზე კიდევ უფრო ინტენსიურად გამოიყენება უპილოტო საფრენი აპარატები, დრონები. ისინი განსაზღვრავენ მიმდინარე საომარი მოქმედების ხასიათს და ამასთანავე, გვიქმნიან წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს მომავალი ომები, რომლებიც შესაძლოა გაჩაღდეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, მათ შორის, სავარაუდოდ, კავკასიაში“ (ეველი და ლიკლიკაძე 2020). აქედან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის ძალების ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს: უპილოტო საფრენი აპარატების, კამიკაძე დრონების, სადაზვერვო დრონებისა და მათი ინტეგრირებული სისტემების განვითარება. ინტეგრირებული სისტემები, მოიცავს აღნიშნული აპარატების აღმოჩენა რადარებსა და საფრენ აპარატებზე ზემოქმედების შეიარაღებას. ყოველივე ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რათა თავდაცვის ძალებმა შესძლოს მონიშნულმდევებზე, როგორც საჰაერო იერიშების განხორციელება, ასევე აგრესორის საფრენი აპარატებისგან თავის დაცვა. ამასთანავე, აღნიშნული სისტემები ხასიათდება ზემოქმედების მაღალი სიზუსტით და ეფექტურობით, ხოლო ჩამოვარდნის შემთხვევაში მფრინავები, არც ზიანდებიან და არც ტყვედ ვარდებიან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მათ შეუძლიათ თვითღირებულებაზე გაცილებით უფრო მაღალი ღირებულების მიზნებზე ზემოქმედების მიტანა „ბაქოს დრონების სამიზნეს წარმოადგენდა სომხეთის ტანკები, არტილერია და საჰაერო თავდაცვის სისტემა“ (ეველი და ლიკლიკაძე 2020). აღნიშნული პარაგრაფი მოკლედ რომ შევაჯამოთ, უნდა ითქვას, რომ საჰაერო სისტემების როლი, ახალი თაობის ომებში ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობას სძენს სამხედროებს, აწარმოონ ეფექტიანი სამხედრო ოპერაციები და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესორ ძალებს. ამასთანავე, საკუთარი ფინანსები იზოგება, ხოლო მონიშნულმდევის იზრდება.

დღევანდელი თანამედროვე მსოფლიოსთვის, ასევე უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა კიბერ შესაძლებლობები. განსაკუთრებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ყველა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები და ორგანიზაციები თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებას უზრუნველყოფენ კომპიუტერების საშუალებებით. „კომპიუტერული ქსელების გამოყენებით შესაძლებელია

ომის თანამედროვე ფორმით წარმოებას. მეტიც, მომავალში სახელმწიფოები ალბათ კიბეროპერაციებს სპეციალური რობოტების მეშვეობითაც განხორციელებენ“ (ბურკაძე 2020). შესაბამისად, სამხედრო სფეროშიც, აქტიურად გამოიყენება კომპიუტერები და მათით მართული სისტემები, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაკისრებული ამოცანებისა და დავალებების შესასრულებლად. იქიდან გამომდინარე, რომ სამხედრო სფერო გამორჩეულია თავისი საქმიანობითა და მნიშვნელობით, მისდამი ინტერესიც ზოგადად ძალიან დიდია, განსაკუთრებით კი მტრულად განწყობილი ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურების მიერ, როგორც მშვიდობიანობის, ასევე სამხედრო ხასიათის კონფლიქტებსა და ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დროს.

„2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევები ტრადიციული საომარი მოქმედებების პარალელურად განხორციელდა. აღნიშნული ჰიბრიდული გამოწვევის წინაშე საქართველო დგას დღემდე, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა“ (ბურკაძე 2020). მოცემული პარაგრაფი, რომ შევაჯამოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი თაობის ომის კიდევ ერთ უდიდეს გამოწვევას კიბერ უსაფრთხოება წარმოადგენს, შესაბამისად თავდაცვის ძალების განვითარება აღნიშნული სფეროს მიმართულებით მნიშვნელოვანია, როგორც მშვიდობიანობის, ისე სამხედრო ოპერაციების წარმოების დროს.

საქართველოს თავდაცვის ძალებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია საინფორმაციო ბრძოლების განვითარება, რადგან საქართველოს უშუალო მოწინააღმდეგე, სწორედ საინფორმაციო ბრძოლების მეშვეობით ახდენს საზოგადოებაზე ფსიქოლოგიურ გავლენას და ქმნის დესტაბილიზაციის წინაპირობას. ჰიბრიდული ომის მახასიათებლები მრავალია, თუმცა საქართველოს შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას პრორუსული საინფორმაციო წყაროები წარმოადგენს, რადგან ისინი ყველაზე ეფექტიანი საშუალებებია დეზინფორმაციის გასავრცელებლად ყველა ასაკის, სქესის, ეთნიკის თუ რელიგიის წარმომადგენლებთან მიმართებაში. საინფორმაციო ომი უზრუნველყოფს საზოგადოების ერთიანობის მოშლასა და ურთიერთდაპირისპირებას, რაც იწვევს საკუთარი ხელისუფლებისადმი უნდობლობას, „განსაკუთრებულ ყურადღებას ჰიბრიდული ომის რუსულ თეორიაში იმსახურებს [...] სამიზნე ქვეყნის მონყველადი ადგილების გამოვლენა, ე.წ. „მეხუთე კოლონის“, ანუ თავდამსხმელი ქვეყნისადმი ლოიალურად განწყობილი პირების და ორგანიზაციების ქსელის ფორმირება და სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის აქტიური საინფორმაციო დამუშავება“ (<http://eugeorgia.info> 2017). შესაბამისად სამიზნე ქვეყნებში მატულობს: საპროტესტო გამოსვლები, ადმინისტრაციული დარღვევები, კრიმინალური დანაშაულებები და სხვა მსგავსი ქმედებები. პარაგრაფის მოკლე შეჯამების სახით უნდა ვთქვათ, რომ საინფორმაციო ომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ახალი თაობის ომებისათვის და საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარება კონკრეტული მიმართულებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, უნდა დავასკვნათ, რომ ახალი თაობის ომები და მისი დამახასიათებელი ასპექტები, ძირითადად, მაღალტექნოლოგიური შეიარაღება და ჰიბრიდული მოქმედებებია, რაც დღევანდელი მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს თავდაცვის ძალების, უდიდეს გამოწვევად იქცა. ომის წარმოების მეთოდები და ხერხები ფუნდამენტურად განსხვავებულია წინა თაობების ომებისაგან. მაღალტექნოლოგიური საბრძოლო სისტემები და ჰიბრიდული მოქმედებები მრავალი სახისაა, თუმცა ბოლო წლებში რუსეთის მიერ საქართველოსა და ყირიმში, ხოლო აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღში წარმოებული ომების საფუძველზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა საავიაციო, კიბერ და საინფორმაციო სივრცეებმა შეიძინა. აღნიშნულ გამოწვევებში, ერთი მხრივ იკვეთება უპილოტო საფრენი აპარატებისა და “კამიკაძე დრონების” მაღალეფექტიანობა, მეორე მხრივ, კიბერშესაძლებლობებისა და საინფორმაციო ომების მნიშვნელობა, რისი მეშვეობითაც რუსეთმა მიაღწია სასურველ მიზნებს და მოახდინა აღნიშნული ქვეყნების გარკვეულ რეგიონებში დესტაბილიზაცია, შემდგომ კი მათი ოკუპაცია. შესაბამისად, საქართველოს მთავარი მოწინააღმდეგის და ახალი თაობის ომების წარმოების მეთოდების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის ძალების მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს, როგორც უპილოტო საფრენი აპარატები და “კამიკაძე დრონები”, ასევე კიბერ და საინფორმაციო შესაძლებლობების განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურკაძე, ხათუნა. 2020. კიბერშეტევები, როგორც ომის წარმოების თანამედროვე ფორმა. ჯეოქეისი, 9 ივნისი. <https://www.geocase.ge/ka/publications/164/kibersheteebi-rogorc-omis-tsarmoebis-tanamedrove-forma> (29.05.2021).
2. ევროპა საქართველოსთვის. 2017. ჰიბრიდული ომი რუსეთის სამხედრო თეორიაში. ბრძოლა საინფორმაციო ველზე. 10 ივლისი. <http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/> (01.06.2021).
3. ეკელი და ლიკლიკაძე. 2020. ბრძოლა თვითმფრინავებთან: მთიანი ყარაბაღის მომავლის ომის სახე. რადიოთავისუფლება, 12 ოქტომბერი. <https://www.radiotavisupleba.ge> (29.05.2021).
4. ბეგოიძე, ომარი. 2015. "ჰიბრიდული ომი და მისი გავლენა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებზე". თბილისი. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 27 ოქტომბერი. <https://mod.gov.ge/ge/news/read/4266/hibriduli-omi-da-misi-gavlana-natos-cevr-da-part-nior-qvekneze> (31.05.2021).

**საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე მდგარი
ახალი თაობის ომის გამოწვევები**

**CHALLENGES OF THE NEW GENERATION OF WAR
FACED BY THE DEFENSE FORCES OF GEORGIA**

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE

მაიორი ლაშა ნასარიძე

MAJOR LASHA NASARIDZE

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის საკვლევ საგანს წარმოადგენს ახალი თაობის ომის მახასიათებლების განხილვა და მათგან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა. იგი მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალებისთვის, ვინაიდან ახალი თაობის ომისგან მომდინარე საფრთხეები უშუალოდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს თავდაცვის ძალებს და ასუსტებს მის საბრძოლო შესაძლებლობებს. კვლევის მიზანია ყურადღება გამახვილდეს იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც ყველაზე მეტ საფრთხეს უქმნის თავდაცვის ძალებს და გამოიძენოს ამ საფრთხეებთან გამკლავების ეფექტური გზები. ნაშრომში ყურადღება მახვილდება საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ საფრთხეებზე, კიბერთავდასხმებზე და თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებაზე. მაგალითების სახით განხილულია ბოლო დროს მომხდარი კონფლიქტების დროს გამოყენებული ახალი თაობის ომის ელემენტები და ხდება მათსა და საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე არსებულ საფრთხეებს შორის გარკვეული პარალელების გავლება. აღნიშნული მიმართულებით არაერთი კვლევაა გამოქვეყნებული და მკვლევარების მიერ იდენტიფიცირებული მახასიათებლები უმეტესწილად ერთმანეთის იდენტურია, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილი კვლევები ძირითადად ეხება ზოგადად ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს და ნაკლები ყურადღება ეთმობა თავდაცვის ძალებს. წარმოდგენილ ნაშრომში კი ყურადღება გამახვილებულია თავდაცვის ძალების წინაშე არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის ზოგად მიმართულებებზე. ძირითადი აქცენტი კეთდება რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე კიბერუსაფრთხოების ჭრილში, ვინაიდან საქართველოს უკვე აქვს ამ მიმართულებით გამოცდილება და ის არაერთხელ გამხდარა კიდევ რუსეთის კიბერთავდასხმების მსხვერპლი. პრობლემის გადაჭრის წარმოდგენილი გზები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი ეხება თავდაცვის ძალებისა და მასთან დაკავშირებული სუბიექტების ერთობლივ ღონისძიებებს, რომლებიც საბოლოოდ შეამცირებს ახალი თაობის ომისგან მომდინარე საფრთხეებს და თავდაცვის ძალები შეძლებს ამ საფრთხეებზე ადეკვატური პასუხის გაცემას.

საპჟანდო სიტყვები:

თავდაცვის ძალები, გამოწვევები, საფრთხეები, საინფორმაციო, ფსიქოლოგიური, კიბერთავდასხმა.

ABSTRACT

The research object of presented work is about discussing of new combat generation characteristics and display the treats heading from it. It is important for defense forces, as new combat generation threats directly impacts country defense capabilities, provokes defense forces and weakens its combat opportunity. Research goal is to pay attention to the priorities which are more vulnerable for defense forces and seek out the ways for effectively handling it. The great attention in this research is paid to the informational and psychological threats, to the cyber-attack and for the usage of UAV techniques. As a sample is used new combat generation elements used in near past time conflict, threat parallel is drown between them and Georgian defense forces. Several researches are published by researchers according to this topic, identified characteristics are mainly identical. Though this researches generally present the provocations facing our country, less attention is paid to defense forces. In this presentation attention is paid to the provocations facing defense forces and general ways for handling them. Main stress is given to the cyber security threats coming from Russian side, as Georgia already have some experience at this matter and it has become the victim of Russian cyber-attack at various times. The ways of handling such problems are very important as they are in contact with defense forces with relative subjects and their common attempt that will reduce all the threats coming from new combat generation and defense forces will be able to react adequately.

KEYWORDS:

Defense forces, Provocations, Threats, Informational, psychological, cyber-attack.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ქვეყნებს შორის უთანხმოების გადაჭრის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას ომი წარმოადგენდა, მისი ძირითადი ფორმა კი სამხედრო დაპირისპირება იყო, სადაც გამარჯვებულ მხარეს შეეძლო თავისი ინტერესები გაეტარებინა დამარცხებულზე. ამიტომ სახელმწიფოს მთავარ სამრუნავს ძლიერი სამხედრო ძალები წარმოადგენდა და უპირატესობასაც ის ფლობდა, ვინც იყენებდა უახლესი თაობის იარაღს და მოქმედებდა ინოვაციური მეთოდებით. დროის მსვლელობისა და ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ ბრძოლის მეთოდებმა, საშუალებებმა და ხერხებმა მრავალჯერ განიცადა ცვლილება, რაც იწვევდა გარდატეხას სამხედრო საქმეში და განაპირობებდა საბრძოლო სივრცის გაფართოვებას. მოქმედებები სახმელეთო განზომილებიდან საზღვაო, შემდეგ საჰაერო, მოგვიანებით კი საინფორმაციო სივრცეში გადაიზარდა. ოცდამეერთე საუკუნის ტექნოლოგიურმა განვითარებამ საბრძოლო სივრცე კიდევ უფრო გაზარდა და ბრძოლის მეთოდები ახალ საფეხურზე გადაიყვანა, ომმა დაკარგა საზღვრები და იგი, როგორც ქვეყნის ინტერესებისა და მიზნების მიღწევის საშუალება, აღარ წარმოადგენს მხოლოდ ბრძოლის ველზე დაპირისპირებას. გაჩნდა ახალი თაობის ომების ცნება, სადაც ქვეყნები ზეგავლენას ახდენენ მონინალმდეგვე ფიზიკური განადგურების გარეშე. სამხედრო შესაძლებლობებთან ერთად წინა პლანზე წამოიწია ეროვნული ძალის არასამხედრო ინსტრუმენტების გამოყენებამ, რაც ხშირად სამხედრო მოქმედებებზე მეტი ეფექტის მომტანია. მათი ერთდროული გამოყენებით შესაძლებელი გახდა მონინალმდეგვე, როგორც ფიზიკური, ისე მორალური და ფინანსური ზიანის მიყენება და ისეთ მდგომარეობაში ჩაგდება, რომ ადვილად მოხდეს დათმობებზე წასვლა. ამდენად, შესაძლო აგრესიის შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის ძალები იძულებული გახდება სამხედრო დაპირისპირებასთან ერთად წინალმდეგობა გაუწიოს არასამხედრო აქტორებს, რისთვისაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება. საჭირო ხდება მეტი რესურსი იქნას მიმართული თავდაცვის ძალების ტექნოლოგიური, ფიზიკური და მორალური გაძლიერებისკენ, რათა ახალი თაობის ომის გამოწვევებს სათანადოდ უპასუხოთ და არ დაუშვას მონინალმდეგის ზემოქმედების ქვეშ მოქცევა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ახალი თაობის ომები დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს საქართველოს თავდაცვის ძალებს.

ახალი თაობის ომის წარმოება უამრავი კომბინირებული მეთოდისა და საშუალების გამოყენებას გულისხმობს. ასეთი ტიპის ომებს ხშირად მე-4 თაობის ომსაც უწოდებენ, რომელსაც მკვლევარები სხვადასხვა მახასიათებლების ქვეშ აერთიანებენ. მაგალითად ომარ ბეგოიძის თქმით, იგი „წარმოადგენს არა სახელმწიფოთაშორის, არამედ სახელმწიფოსა და არასახელმწიფო მოთამაშეთა ბრძოლას ასიმეტრიული ხერხებით, საზღვრების წაშლას სამხედროსა და სამოქალაქოს, ომსა და მშვიდობას შორის“ (ხიდაშელი და სხვები 2021, 77). ასეთი სახის ომების პირისპირ ქვეყნის სამხედრო პოტენციალი დიდი საფრთხის წინაშე დგება და მისი თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად ბევრი ასპექტის გათვალისწინება საჭირო. თუმცა ნაშრომში ბოლო დროს მომხადერი კონფლიქტებისა და საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით ყურადღება იქნება გამახვილებული მხოლოდ საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ასპექტზე, კიბერუსაფრთხოებაზე და თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებაზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ახალი თაობის ომის წარმატებაზე და განსაკუთრებული ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ თავდაცვის ძალების ბრძოლისუნარიანობაზე.

ახალი თაობის ომებში დიდი ადგილი საინფორმაციო ომს უჭირავს, რომლის ძირითადი დანიშნულება მონინალმდეგვე ისეთი სახის ინფორმაციის გავრცელებაა, რომელიც გამოიწვევს მოსახლეობისა და მეომარი ძალის შეცდომაში შეყვანას, დემორალიზაციას და მათში წინალმდეგობის განვითარების სურვილის შესუსტებას. არასწორი ინფორმაციის ფლობა ან ინფორმაციის არარსებობა კი საბოლოოდ მნიშვნელოვნად ასუსტებს ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობებს და ართულებს ამოცანის შესრულებას. მაგალითად გიორგი ბუტიკაშვილი თავის ნაშრომში ქსელური ომის დუგინისეული თეორიის განხილვისას ამბობს: „დუგინის აზრით, მას ვინც ინფორმაციას აკონტროლებს, ყველაფრის გაკონტროლების უნარი შესწევს“ (ხიდაშელი და სხვები 2021, 68). აქედან გამომდინარე თავდაცვის ძალებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფლობდეს სწორ ინფორმაციას, დროულად შეეძლოს ნამდვილი და ცრუ ინფორმაციის ამოცნობა და მართვა, რითიც შეძლებს სათანადო ღონისძიებების გატარებას საბოლოო მიზნის მისაღწევად.

საბრძოლო მოქმედებებში ჯარისკაცების მორალური სიძლიერე და მდგრადობა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია წარმატების მისაღწევად. როდესაც ჯარისკაცს კარგ საბრძოლო მომზადებასა და თანამედროვე შეიარაღებასთან ერთად მაღალი ფსიქოლოგიური და მორალური მზადყოფნაც გააჩნია, მას შეუძლია ყოველგვარი ფიზიკური წინალმდეგობის დაძლევა დასახული მიზნის მისაღწევად. ახალი თაობის ომებში კი საინფორმაციო ომის წარმოება, სწორედ პირველ რიგში ჯარისკაცის ფსიქოლოგიურად გატეხვისკენ არის მიმართული. ქვეყნები ეფექტურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა საინფორმაციო საშუალებას, რომ გააჩინონ დაუცველობის განცდა, ფსიქოლოგიურად გატეხონ მებრძოლები და დააკარგვინონ ბრძოლის

სურვილი. ამის ნათელი მაგალითია მთიანი ყარაბაღის 2020 წლის შემოდგომის საბრძოლო მოქმედებები, სადაც დაპირისპირებული მხარეების მიერ მასიურად ვრცელდებოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენდა ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთებაზე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა აზერბაიჯანი, რომელმაც არაერთხელ გაავრცელა უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით გადაღებული, სომხური დანაყოფების კოლონების, საბრძოლო ტექნიკისა თუ პოზიციების განადგურების კადრები, რომლებიც ყველასათვის ადვილი ხელმისაწვდომი იყო და დიდ გავლენას ახდენდა მეზობლთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც შესაძლებელია დემერტირობის მთავარი გამომწვევი მიზეზიც ყოფილიყო. „აზერბაიჯანმა ასევე გამოიყენა მაღალი ხარისხის კამერები, რომლებსაც TB2 მეშვეობით პროპაგანდისტული ვიდეოების გადაღებისთვის იყენებდნენ. სომეხ მეზობლებსა და ტექნიკაზე თავდასხმების ამსახველი ვიდეოები ინტერნეტში განთავსდა და ბაქოში ციფრულ ბილბორდებზე გადაიკა“ (Shaikh and Rumbaugh 2020).

ძლიერი საინფორმაციო ბერკეტების მეშვეობით ეფექტური საინფორმაციო ომი ზეგავლენას ახდენს არამხოლოდ სამხედროებზე, არამედ მას შეუძლია ღია საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე შეცვალოს და აკონტროლოს მოსახლეობის აზრი და განწყობა, რაც პირდაპირ აისახება შემდგომ საბრძოლო მოქმედებებზე. ძლიერი საინფორმაციო ომის წარმოებით მონინალმდევს შეუძლია დასაპყრობ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ისე განაწყოს, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს არამხოლოდ ადგილობრივი შეიარაღებული ძალების ნდობა შეასუსტოს, არამედ დამპყრობლების მიმართ კეთილგანწყობაც გააძლიეროს და იგი ხსნის ერთადერთ იმედად წარმოაჩინოს. ამდენად, საქართველოსნაირი სუსტი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ხდება სათანადო ბერკეტების ფლობა, რომლითაც შეძლებს მონინალმდევის მხრიდან ძლიერი საინფორმაციო თავდასხმების განეიტრალებას და როგორც ჯარის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას, ისე ადგილობრივ მოსახლეობაში თავდაცვის ძალების ნდობის გაღრმავებას.

საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ომის საფრთხე რომ ერთერთი დიდი გამოწვევაა, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მას აქტიურად იყენებს საქართველოს მთავარი მონინალმდევ რუსეთი სამიზნე ძალებზე ზემოქმედებისთვის. რუსეთის მიდგომა ამ მიმართულებით კარგად ჩანს გენერალური შტაბის უფროსის ვალერი გერასიმოვის ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც „გერასიმოვის დოქტრინის“ სახელით არის ცნობილი. „გერასიმოვის ცენტრალური დოქტრინის არსი ეფუძნება იდეას, რომლის თანახმადაც თანამედროვე ომში ბრძოლის მთავარ სამიზნეს გონება წარმოადგენს და შესაბამისად, თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში დომინანტური ადგილი საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომს ეთმობა“ (მგალობლიშვილი და სხვები 2016, 17). აღნიშნული მიდგომა კარგად გამოჩნდა 2014 წლის უკრაინის კონფლიქტშიც, სადაც კონფლიქტის დაწყებამდეც და მისი მსვლელობის დროსაც აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო ომი. ანდრია გოცირიძე თავის ნაშრომში ერთ ასეთ მაგალითზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს: „აღსანიშნავია უკრაინელი სამხედროებისთვის დანებების მონოდებით მოკლე ტექსტური შეტყობინებების მასირებული დაგზავნის ფაქტიც“ (ხიდაშელი და სხვები 2021, 383). აღნიშნული მაგალითები მნიშვნელოვან გასათვალისწინებელ ფაქტორებს წარმოადგენს თავდაცვის ძალებისათვის, რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის დაწყების შემთხვევაში პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად.

ახალი თაობის ომებში, განსაკუთრებული ადგილი ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიებს უკავია. ქვეყნები ცდილობენ მრავალი მიმართულებით განავითარონ საბრძოლო შესაძლებლობები და დახვეწონ შეიარაღება, რომლებიც მნიშვნელოვნად ამარტივებენ მოქმედებებს სივრცესა და დროში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატები და დრონები, რომლებმაც ბოლო წლებში განვითარებულ საბრძოლო მოქმედებებში მრავალი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა აჩვენეს. უპილოტო საფრენი აპარატების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ომარ ბეგოიძე აღნიშნავს, რომ „ახალი თაობის მრავალფუნქციურ საბრძოლო ავიაციასთან ერთად, განვითარდება უპილოტო საფრენი აპარატების საბრძოლო შესაძლებლობები“ (ხიდაშელი და სხვები 2021, 81). ამ შესაძლებლობების გამოყენების მაგალითები კარგად გამოჩნდა მთიანი ყარაბაღის 2020 წლის კონფლიქტის დროს, სადაც აზერბაიჯანული მხარე მათ იყენებდა არამხოლოდ საღაზერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად, არამედ საარტილერიო ცეცხლის მიზანჩვენებისთვის, საბრძოლო მოქმედებების ვიდეოგადაღებისთვის და ასევე უშუალოდ მიზნებზე ზემოქმედებასაც კი ახდენდა თავად უპილოტო საფრენი აპარატებისა და კამიკაძე დრონების მეშვეობით. „უპილოტო საფრენი აპარატებისა და საბრძოლო მასალების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მძიმე სახმელეთო დანაყოფების განადგურება, მათ შორის იყო T-72 ტანკები და მონინავე S-300 საჰაერო თავდაცვის სისტემები“ (Shaikh and Rumbaugh 2020). აქედან გამომდინარე, მონინალმდევის მხრიდან მსგავსი მეთოდებით მოქმედების შემთხვევაში, მოწყვლადი გახდება საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ტექნიკა და პოზიციები, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს თავდაცვის შესაძლებლობებს საბრძოლო მოქმედებების პერიოდში.

ახალი თაობის ომში განსაკუთრებული ადგილი უკავია კიბერსივრცეს და კიბერთავდასხმებს, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო წლებში. თანამედროვე ტექნოლოგიურმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა საბრძოლო მოქმედებები ვირტუალურ სივრცეში გადაზრდილიყო და გამოჩნდა ომის კიდევ ერთი ახალი განზომილება, რომელმაც საბრძოლო მოქმედებები ახალ საფეხურზე გადაიყვანა. „XXI საუკუნის პირველ ათწლეულში საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და კოსმოსურ დაპირისპირებასთან ერთად, კიბერდომენი დაპირისპირების მეხუთე სივრცედ დამკვიდრდა“ (ხიდაშელი და სხვები 2021, 68). მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის დაპირისპირება ვირტუალურ სივრცეში მიმდინარეობს, მისგან გამონეული შედეგები ნამდვილად არ რჩება მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში და ის მძიმედ აისახება მონინალმდევე მხარის ეროვნულ და სამხედრო შესაძლებლობებზე. თუმცა საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის კიბერთავდასხმები შესაძლებელია არ ჩაითვალოს დიდ გამოწვევად, ვინაიდან კიბერსივრცეს არ სჭირდება ძალების დემონსტრირება ან რიცხობრივი უპირატესობა. მცირე რესურსების მქონე ქვეყანას სწორი სტრატეგიის მეშვეობით შეუძლია მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწიოს მასზე რიცხობრივად უპირატეს მონინალმდევეს და დიდი ზიანიც კი მიაყენოს. „კიბერსივრცე ის არეალია, სადაც მცირე სამხედრო შესაძლებლობების ქვეყანას რეალურად შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესორს და კიბერუნარები და სტრატეგია, შესაძლოა, გახდეს მის ქმედებებზე ასიმეტრიული პასუხის ერთ-ერთი წარმატებული ელემენტი ან წინააღმდეგობის ფრონტი“ (ხიდაშელი და სხვები 2021, 380). ამიტომ ქმედითი ნაბიჯების, კიბერშეტევებზე დროული რეაგირებისა და პრევენციული ღონისძიებების მეშვეობით შესაძლებელია საქართველოს თავდაცვის ძალებმა შეძლოს კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილება და უპირატესობის მოპოვება.

თუმცა, კიბერთავდასხმების მიმართულებით პირველ რიგში გასათვალისწინებელია რუსეთის შესაძლებლობები და მისგან მომდინარე საფრთხეები, რომელიც კიბერშესაძლებლობებს აქტიურად იყენებს ინფორმაციის მოსაპოვებლად, შესაცვლელად, მისი მთლიანობის დასარღვევად ან მონაცემთა ბაზების სასურველი მიმართულებით გამოსაყენებლად. მსგავსი ტიპის შეტევების განსახორციელებლად იგი არამხოლოდ სამხედრო შესაძლებლობებს, არამედ კრიმინალურ ორგანიზაციებსაც კი იყენებს, რითიც ნილბავს ოფიციალური რუსეთის ღია ჩართულობას გარკვეულ მოქმედებებში. მსგავსი თავდასხმების მსხვერპლი საქართველო არაერთხელ გამხდარა კიდევ, მაგალითად „საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის კიბერშეტევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძლიერი ტექნიკური შესაძლებლობების მქონე კრიმინალურმა ორგანიზაციამ RBN-მა (Russian Business Network)“ (ხიდაშელი და სხვები 2021, 373). რუსეთის აქტიურ მონაწილეობას კიბერშეტევებში ასევე ადასტურებს ის გარემოება, რომ კიბერთავდასხმები თან ახლავს ბოლო წლებში წარმოებულ თითქმის ყველა საბრძოლო მოქმედებებს, სადაც პირდაპირ თუ ირიბად ჩართულია რუსეთი და იკვეთება მისი ინტერესები, „კიბერდაპირისპირება ახასიათებდა ლიბიის ომს, ნაწილობრივ სირიის კონფლიქტს, მთიანი ყარაბაღის გარშემო პერიოდულ გამწვავებებს, რუსეთ-საქართველოს ომსა თუ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს“ (ხიდაშელი და სხვები 2021, 370). აღნიშნული ფაქტებისა და საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, კიბერუსაფრთხოება ძალზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სამხედრო ძალებისთვის.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები დიდი გამოწვევების წინაშე დგას ახალი თაობის ომის წარმოების პირობებში და მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად დიდი ძალისხმევაა საჭირო. საჭიროა გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი თაობის ომის მახასიათებლებისთვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევაზე და მნიშვნელოვნად გაანეიტრალებს მონინალმდევეს სიძლიერეს. საჭირო იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება, როგორც თავდაცვის ძალებში, ისე სამოქალაქო სამოგადოებაში, რათა იოლად არ მოხდეს ცრუ ინფორმაციის სინამდვილედ აღქმა. მოსახლეობისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებისა და დეზინფორმაციისგან გარჩევის მიზნით გამოყენებული უნდა იქნას სოციალური ქსელები და მშვიდობიან პერიოდში ჩატარდეს ისეთი აქტივობები, რომლებიც მნიშვნელოვნად აამაღლებს მოსახლეობის ინფორმირებულობას და ამავე დროს გაზრდის თავდაცვის ძალების ნდობას. თავდაცვის ძალებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჯარისკაცების ფსიქოლოგიური მომზადება და სტრესულ ვითარებასთან გამკლავების შესაძლებლობის გაზრდა, რისთვისაც საბრძოლო მომზადების პროცესში უნდა გაიზარდოს ჯარისკაცების ფსიქოლოგიური მომზადების ელემენტები და გამოყენებულ იქნას რეალური მაგალითები, რომლის საშუალებითაც ჯარისკაცები შეძლებენ ინფორმაციის ადეკვატურად აღქმას და საბრძოლო მოქმედებების დროს შეინარჩუნებენ ფსიქოლოგიურ მდგრადობას. საჭიროა კიბერშესაძლებლობების სამხედრო ოპერაციებთან ინტეგრირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაცვა და მისი დროულად, სათანადოდ და ეფექტურად გამოყენება, გარე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე, რისთვისაც საჭირო იქნება თავდაცვის ძალების სტრუქტურული ერთეულებისა და კიბერუსაფრთხოების ბიუროს ერთობლივი სწავლებების ჩატარება. უნდა გაძლიერდეს

კიბერდაზვერვის ელემენტები სამხედრო საქმეში, რათა დროულად იქნას გამოვლენილი შესაძლო კიბერთავდასხმები, რითიც თავიდან იქნება აცილიებული მძიმე შედეგები და მოხდება გარდაუვალი თავდასხმით მიღებული ზიანის დროული აღდგენა. მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას ადგილობრივი სამხედრო წარმოების შესაძლებლობები უპილოტო საფრენი აპარატებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების დასამზადებლად და თავდაცვის ძალების დასაკომპლექტებლად. აღნიშნული ქმედებების ერთობლიობა, თავდაცვის ძალებს საშუალებას მისცემს მნიშვნელოვნად გააანეიტრალოს მის წინაშე არსებული ახალი თაობის ომებიდან მომდინარე საფრთხეები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მგალობლიშვილი, გ., ბ. ქუთელია, ი. გურული, და ნ. ევგენიძე. 2016. ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება. თბილისი: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC). http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1471530452_hybrid-warfare-report-geo_web.pdf (02.06.2021)
2. ხიდაშელი, თ., გ. მასალკინი, გ. ბუტიკაშვილი, ო. ბეგოიძე, ბ. ლოლაძე, ნ. აგლაძე, მ. დარჩიაშვილი, კ. გოგოლაშვილი, მ. ღვინერია, ვ. კიხოვა, ი. იურვეე, გ. მოლოდინი, ზ. აგლაძე, დ. ჩხეტიანი, კ. ესებუა, ა. გოცირიძე, და ი. კაჭკაჭიშვილი. 2021. ჰიბრიდული ომების ანატომია. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.
3. Shaikh, S. and W. Rumbaugh. 2020. The Air and Missile War in Nagorno-Karabakh: Lessons for the Future of Strike and Defense: Center for Strategic and International Studies. https://www.csis.org/analysis/air-and-missile-war-nagorno-karabakh-lessons-future-strike-and-defense?gclid=EAIaIQobChMI4MKA-5GR7gIVU_hRCh0FGweZEAAyASAAEgIK6_D_BwE (02.06.2021).

**თანამედროვე ომის წარმოების მეთოდები და
გამოწვევები საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე**

**MODERN WAR PRODUCTION METHODS AND CHALLENGES
FACING THE GEORGIA DEFENSE FORCES**

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE

ვიცე-კოლკოვნიკი ილია ჩანადირი

LIEUTENANT COLONEL ILIA CHANADIRI

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია თანამედროვე ომის წარმოების მეთოდები და გამოწვევები, რომლებიც დგას საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე. თანამედროვე ომის წარმოებისას გამოყენებულმა ახალმა ტექტიკამ, სივრცეებმა და ტექნოლოგიურმა შეიარაღებამ ზეგავლენა მოახდინა ბრძოლის მიმდინარეობაზე. ამ ცვლილებებმა საფუძველი ჩაუყარა ბრძოლის ახალ მეთოდებს, რომლებიც დიდ გამოწვევად გვევლინება საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე. ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ თანამედროვე თაობის კონფლიქტები ახალ განზომილებებში გადაიყვანა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა, სამხედრო დოქტრინებსა და სამოქმედო გეგმებში შესულიყო ცვლილებები, რომლებიც დაუპირისპირდებოდა თანამედროვე ომის ახალ მეთოდებსა და გამოწვევებს. საბრძოლო მოქმედებების გადატანას ახალ განზომილებებში, როგორებიცაა კიბერსივრცე და საინფორმაციო გარემო, თან ერთვის მაღალი სიზუსტის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების ინტეგრირებული გამოყენება. საქართველო, როგორც რთული გეოპოლიტიკური რეგიონის მკვიდრი სახელმწიფო, დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რათა გაუმკლავდეს ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა ბრძოლა კიბერ და საინფორმაციო სივრცეებში. ამ ორ გარემოებასთან ერთად კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაღალი სიზუსტის შეიარაღებისა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება საბრძოლო ოპერაციების ყველა დონეზე. თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვა, ბრძოლის ტექტიკის დახვეწა კიბერ და საინფორმაციო სივრცეში ერთიორად გაზრდის საქართველოს თავდაცვის ძალების ბრძოლისუნარიანობას, რაც უნდა გახდეს წარმატების წინაპირობა თანამედროვე ომებში.

საკვანძო სიტყვები:

თანამედროვე ომის წარმოების მეთოდები, საინფორმაციო ომი, კიბერსივრცე, კიბერშეტევა, უახლოესი ტექნოლოგიური შეიარაღება, ზემოქმედების დამიზნების შეიარაღება.

ABSTRACT

In this article, it is discussed the methods and challenges of modern warfare facing the Georgian Defense forces. The new tactics, spaces and technological weapons used in the production of modern warfare have had an impact on the course of the battle. These changes have laid the foundation for new methods of combat, which pose a great challenge to the Georgian Defense Forces. The rapid development of technology has taken the conflicts of the modern generation to new dimensions. Therefore, it became necessary to make changes in military doctrines and action plans that would counter the new methods and challenges of modern warfare. Moving combat into new dimensions, such as cyberspace and the informative environment is accompanied by the integrated use of high-precision weapons and military technology. Georgia, as a resident of a complex geopolitical region, faces significant challenges in dealing with circumstances such as cyber and information warfare. With these two circumstances the introduction and use of high-precision weapons and state-of-the technology at all levels of combat operations are critical. Equipping with modern weapons, refining combat tactics in cyber and information space will increase the combat capability of the Georgian Defense forces which should become a prerequisite for success in the wars of the modern wars.

KEYWORDS:

Modern warfare methods and challenges; High-precision weapons and state-of-the technology; Cyberspace; Informative environment; High-precision weapons

საუკუნეების განმავლობაში ომების ისტორიაზე გავლენას ახდენდა საბრძოლო იარაღი, ტაქტიკა, ბრძოლის დაგეგმვა, ტექნოლოგიები და საბრძოლო სივრცის მართვა. ამ ფაქტორების ზეგავლენით შემოიღეს ომის თაობების კონცეფცია და ჩამოყალიბდა ომის ოთხ თაობად. თანამედროვე ეპოქამ საფუძველი ჩაუყარა ბრძოლის ახალ მეთოდებს, რომლებმაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა თანამედროვე მსოფლიო. ამან განაპირობა ბრძოლის შესაბამისი მიდგომების წარმოშობა, რამაც გამოიწვია თანამედროვე კონფლიქტების ახალ განზომილებებში გადაყვანა. აუცილებელი გახდა, სამხედრო დოქტრინებსა და სამოქმედო გეგმებში შესულიყო ცვლილებები, რომლებიც დაუპირისპირდებოდა თანამედროვე გამოწვევებს. მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო, რომელთაც გააჩნიათ მისწრაფება, აკონტროლონ და საკუთარი ინტერესები გაავრცელონ სხვა ქვეყნებში, იყენებს ბრძოლის ახალ მეთოდებს, როგორებიცაა კიბერსივრცე და საინფორმაციო გარემო, რომელსაც თან ერთვის მაღალი სიზუსტის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების ინტეგრირებული გამოყენება. საქართველო, როგორც რთული გეოპოლიტიკური რეგიონის მკვიდრი სახელმწიფო, დგას ამ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. თანამედროვე ომში, რომელიც იწყება მშვიდობიანობის დროს ისე, რომ ომი არ ცხადდება, უნდა გაუმკლავდე ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა ბრძოლა კიბერ და საინფორმაციო სივრცეებში, რომელსაც თან ახლავს მაღალი სიზუსტის შეიარაღებისა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება საბრძოლო ოპერაციების ყველა დონეზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის ძალები თანამედროვე თაობის ომში დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე.

პირველ რიგში, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ომის მიმდინარეობისას განიხილავენ ახალ სივრცეს, რომელიც წარმოდგენილია კიბერსივრცის სახით. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთ გამოწვევა საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის, რადგან ფრონტის ხაზი კიბერსივრცეში უკვე პირობითი ცნებაა და ძნელია მისი განსაზღვრა. კიბერსივრცეში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხშირად ძალზე რთულია, დაადგინო შემსრულებლის ადგილსამყოფელი და შემსრულებელი ქვეყანა, საიდანაც იყო შეტევა. ახალი თაობის ომში სადაზვერვო და სპეციალური სამსახურები იყენებენ ინტერნეტსივრცეებსა და კომპიუტერულ ქსელებს, რათა კიბერშეტევები განახორციელონ სხვა სახელმწიფოს მიმართ სტრატეგიული ობიექტების სერვერებზე დესტაბილიზაციის, დაზინების ან ფართომასშტაბიანი კიბერომის წარმოების მიზნით (გლადიმერ სვანიძე, კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, 2015). თუ ავიღებთ ჩვენს პოტენციურ მოწინააღმდეგე რუსეთს, მას ამ სფეროში აქვს ძალზე განვითარებული სისტემა, რომლითაც შეუძლია, მწყობრიდან გამოიყვანოს სახელმწიფოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების სერვერები და დაარტყას თავდაცვის ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის კომპიუტერულ ქსელებს. ეს შეტევები არაერთგზის იწვინა ქართულმა მხარემ. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევები საომარი მოქმედებების პარალელურად განხორციელდა, რამაც ნათლად წარმოაჩინა საქართველოს კიბერ უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება. ეს საფრთხეები გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნულ სტრატეგიაშიც, რომელიც გამოსცა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2014 წელს (საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2014).

ასევე უნდა გამოვყოთ 2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა, რომლის დროსაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო და კომერციული მედიაკომპანიების ვებგვერდები, სერვერები და მართვის სისტემები დაზიანდა და ფუნქციონირება შეფერხდა (ხათუნა ბურკაძე, ჯეოქისი, 2020 წლის 9 ივნისი).

ამ მნიშვნელოვანი გამოწვევის საპირწონედ სხვადასხვა საშუალებითა და პროფესიონალური კადრებით უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს კიბერუსაფრთხოების ბიურო, რათა თავდაცვის სფეროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში შექმნას ინფორმაციული უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ნებისმიერი კიბერთავდასხმის ან/და კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების საშიშრო შედეგები მინიმუმამდე იქნება შემცირებული, ხოლო ასეთი ქმედებების განხორციელების შემდეგ უმოკლეს დროში გახდება შესაძლებელი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების სრული აღდგენა (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კიბერუსაფრთხოების ბიურო).

თანამედროვე თაობის ომის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი არის მაღალი ტექნოლოგიებისა და ზეზუსტი დამიზნების შეიარაღების სისტემების გამოყენება, რაც საქართველოს თავდაცვის ძალებისათვის დიდი გამოწვევაა. თანამედროვე მსოფლიოში დომინირებს მაღალტექნოლოგიური იარაღი, რომლის მოქმედებაც დამყარებულია ზეზუსტი დამიზნების სისტემაზე. ბრძოლის ველზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია შორი მანძილიდან კონტროლის საშუალებებით მოწინააღმდეგეზე ზემოქმედება. ასეთი სიზუსტე მიიღწევა სადაზვერვო აღმომჩენი სისტემებით, რომლებიც აღჭურვილია ჯიპისის (GPS - Global Po-

sitioning System) მართვის სისტემით და აქვს სატელიტური მხარდაჭერა კოსმოსიდან. აქედან გამომდინარე, ოპერაციის მართვა შესაძლებელია შორი მანძილიდან უშუალო კონტროლის პირობებში. ასეთი სიზუსტე იძლევა საშუალებას, შეცდომითი ცეცხლი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი და, ასევე, გამოირიცხოს მშვიდობიანი მოსახლეობის დაზარალება და მსხვერპლი. მაგალითად, ასეთ საშუალებას წარმოადგენს უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებიც დაყოფილია რამდენიმე კატეგორიად. მათ შორის არის საბრძოლო და სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებიც აღჭურვილია ზუსტი დამიზნების მართვადი რაკეტებით. მსგავსი სისტემების გამოყენება და ახალი ტექნოლოგიებით ბრძოლის უამრავი მაგალითი გამოჩნდა საქართველოს უახლოეს სამეზობლოში განვითარებულ კონფლიქტებში. კერძოდ, 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიტანა მაღალი სიზუსტის საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატებისა და დრონების გამოყენებამ, რამაც დიდი წარმატება მოუტანა ამერბაიჯანულ მხარეს.

საქართველოს სიახლოვეს განვითარებულმა კონფლიქტებმა დაგვანახვა, რომ მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით საბრძოლო ოპერაციების წარმოება არის საქართველოს თავდაცვის ძალების უდიდესი გამოწვევა თანამედროვე თაობის ომში. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს პოტენციური მოწინააღმდეგე გაცილებით ძლიერია, ვიდრე ამერბაიჯანის მოწინააღმდეგე ყარაბაღის კონფლიქტში. მაგალითად, ამერბაიჯანის უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება იქიდან გამომდინარე იყო ეფექტური, რომ სომხურმა მხარემ ვერ დაუპირისპირა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საჰაერო თავდაცვის სისტემა და შეიარაღება. შესაბამისად, ქართულმა მხარემ კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი გააკეთოს არა მარტო მაღალი სიზუსტის უპილოტო საფრენ აპარატებსა და დრონებზე, არამედ მაღალი სიზუსტის საჰაერო თავდაცვის სისტემებით აღჭურვოს ქვედანაყოფები და ჩამოაყალიბოს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები.

კიდევ ერთი მთავარი გამოწვევა საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის თანამედროვე ომში არის ბრძოლა საინფორმაციო სივრცეში. ეს წარმოადგენს თანამედროვე თაობის ომის განუყოფელ ნაწილს, რომელიც ეფექტურად გამოიყენება დღევანდელ მსოფლიოში და არის მძლავრი იარაღი მოწინააღმდეგის ხელში. ამ იარაღს განსაკუთრებით კარგად იყენებს საქართველოს პოტენციური მოწინააღმდეგე - რუსეთის ფედერაცია. 2013 წლის 27 თებერვალს გაზეთ „Военно-промышленный курьер“-ში გამოქვეყნდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის, სტატია, რომელშიც საუბარი იყო კრემლის გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებებზე. „გერასიმოვის დოქტრინად“ წოდებული სტატიის თანახმად, თანამედროვე ომში წამყვანი ადგილი საინფორმაციო ომს უკავია (ლევან ავალიშვილი, გიორგი ლომთაძე და სანდრო ქევხიშვილი, კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ და პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, 2016 წლის 22 აგვისტო). წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაცია სულ უფრო ეფექტიანად იყენებს საინფორმაციო პროპაგანდას, როგორც იარაღს, სხვადასხვა ქვეყანაში საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. მართალია, საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად კრემლის მიერ პროპაგანდის გამოყენება არ არის ახალი მოვლენა, თუმცა მისი ხარისხი და მასშტაბები ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, საკმაოდ კარგად მომზადებული დეზინფორმაციის გავრცელებით ცდილობს, დაწეროს ქართულ საზოგადოებაში, და მათ შორის თავდაცვის ძალებში, დასავლეთისა და ნატოსადმი (North Atlantic Treaty Organization - NATO) უარყოფითი განწყობა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კრემლის მიერ საინფორმაციო პროპაგანდა ანტიდასავლური ნარატივების სახით, კერძოდ, NATO-ში ინტეგრაციის საფრთხიდან გამომდინარე, საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეა და ასევე ქართული ტრადიციების შეუთავსებლობა დასავლურ ტრადიციებთან (ლევან ავალიშვილი, გიორგი ლომთაძე და სანდრო ქევხიშვილი, კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ და პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, 2016 წლის 1 სექტემბერი).

შეიძლება ითქვას, რომ კრემლის მიერ წარმოებულ შეტევითი საინფორმაციო კამპანიის ერთ-ერთი მოწყვლადი სექტორი არის საქართველოს თავდაცვის ძალები. ამის საფუძველს იძლევა კრემლიდან მომდინარე ფსიქოლოგიურ-პროპაგანდისტული ინფორმაციის გავრცელება. კერძოდ, ხშირად ვრცელდება ისეთი ნარატივები, რომლებიც ეხება რუსული სამხედრო მანქანის ძლევამოსილებას; ასევე, რუსული შეიარაღებული ძალების შეიარაღებისა და აღჭურვილობის უპირატესობას, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებში ნიჰილიზმისა და უიმედობის განცდის დაწერვას. კრემლის საინფორმაციო პროპაგანდის არაერთი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს უახლესი ისტორიიდან, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომიდან, სადაც რუსულმა საინფორმაციო კამპანიამ გარკვეული შედეგი გამოიღო არა მარტო საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ იმოქმედა ქართული საბრძოლო ქვედანაყოფების დემორალიზებასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

აქედან გამომდინარე, ქართულმა მხარემ რომ აიცილოს თავიდან მოწინააღმდეგის ანტი საინფორმაციო კამპანია, დროულად უნდა გამოავლინოს საინფორმაციო სივრცეში არსებული რეალური საფრთხეები და გააცნობიეროს მზარდი პრობლემების არსებობა. წარმოაჩინოს რისკები და გამოწვევები, რომლებიც თან სდევს კრემლის საინფორმაციო ომს და რომლის წინააღმდეგაც საჭიროა პროპაგანდასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავება და გატარება, რასაც დაუპირისპირებს კრემლის საინფორმაციო ომს.

დასასრულს, ვფიქრობ მოსაზრება, რომ 21-ე საუკუნე იქნებოდა უკონფლიქტო ეპოქა, მხოლოდ ფანტაზიის სფერო გახდა. რადგან აშკარაა, თანამედროვე კონფლიქტებმა განაპირობა ბრძოლის ახალი მეთოდების ჩამოყალიბება და ტექნოლოგიების შექმნა. ომის ახალმა თაობამ გამოიწვია ახალ განზომილებებსა და სივრცეებში ბრძოლების გადატანა, რაც გახდა უდიდესი გამოწვევა საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის. აქედან გამომდინარე, სამხედრო სფეროში უნდა დაინერგოს თანამედროვე შეიარაღება და ტექნოლოგიები, საინფორმაციო სივრცეში განისაზღვროს კონტრმოქმედებები მოწინააღმდეგის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური პროპაგანდის საწინააღმდეგოდ. ამასთანავე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ამ ორ მიმართულებას ზურგს უმაგრებდეს კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის გარემო, რათა მოწინააღმდეგემ ვერ შეძლოს წვდომა სტრატეგიული მნიშვნელობის სერვერებსა და კომპიუტერულ სისტემებზე. ეს ყოველივე განაპირობებს საქართველოს თავდაცვის ძალების წარმატებას ახალი თაობის ბრძოლებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავალიშვილი ლევან, ლომთაძე გიორგი და სანდრო ქევხიშვილი, IDFI. კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, 2016 წელი, 1 სექტემბერი <https://idfi.ge/ge/informational-war-of-kremlin-against-georgia-the-necessity-of-having-state-policy-against-propaganda> (12.03.2021);
2. ანთაძე, გიორგი, ჯგერჯიძე, რეგიონალური სამხედრო დისბალანსი და საქართველო: დასკვნები მსჯელობისათვის, 2020 წლის 12 ივნისი <https://www.geocase.ge/ka/publications/167/regionaluri-samkhedro-disbalansi-da-saqartvelo-daskvnebi-msjelobisatvis> (24.12.2020)
3. ანთაძე, გიორგი. ომის ოთხი თაობა, 2010 წლის 14 სექტემბერი, http://strate.ge/index.php?option=com_content&view=article&id=57:2010-09-14-13-56-59&catid=34:2010-01-10-14-58-06&Itemid=112 (11.03.2021 წ.)
4. ბურკაძე, ხათუნა, ჯგერჯიძე, კიბერშეტევები, როგორც ომის წარმოების თანამედროვე ფორმა 2020 წლის 9 ივნისი <https://www.geocase.ge/ka/publications/164/kibershetevebi-rogorc-omis-tsarmoebis-tanamedrove-forma> (12.03.2021)
5. სვანიძე ვლადიმერი, კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, 2015 წელი https://gipa.ge/uploads/files/Cyber_Protection.pdf (14.03.2021)
6. გერასიმოვი, ვალერი. Военно-промышленный курьер, მეცნიერების ფასი პროგნოზირებაში, 2013 წელი 26 თებერვალი <https://www.vpk-news.ru/articles/14632> (10.03.2021)
7. Netmedia, 2020. დრონების ომი მთიან ყარაბახში: როგორ მეცვალეს უპილოტოებმა მდგომარეობა აზერბაიჯანის და სომხეთის კონფლიქტში, 7 ოქტომბერი <https://netmedia.ge/2020/10/%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91/?lang=ge> (09.01.2021);
8. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2014 წელი.
9. Joanna Frew, Drone Wars, The use of drones in the ongoing Nagorno-Karabakh conflict. 2020 წლის 14 ქტომბერი <https://dronewars.net/2020/10/14/the-use-of-drones-in-the-ongoing-nagorno-karabakh-conflict/> (27.12.2020)

**სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი - „მომავლის ომების
რეპეტიცია“ და საქართველოს თავდაცვის წინაშე
არსებული გამოწვევები**

**ARMENIA-AZERBAIJAN CONFLICT - “REHEARSAL OF
FUTURE WARS” AND CHALLENGES FACED
BY THE GEORGIAN DEFENSE**

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
COMMAND AND GENERAL STAFF COLLEGE

ვიცე-კოლკოვნიკი რამაზ ჭაბუკიანი

LIEUTENANT COLONEL RAMAZ CHABUKIANI

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

ტექნოლოგიების განვითარება ყოველთვის იწვევს ომის წარმოების ახალ განზომილებაში გადასვლას და გარკვეული საბრძოლო სისტემების შეუსაბამობას/ხმარებიდან ამოღებას. მთიანი ყარაბაღის უკანასკნელ კონფლიქტში განვითარებულმა სამხედრო მოქმედებებმა აჩვენეს, თუ რა შედეგი მოაქვს ბრძოლაში თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების გამოყენებას. ამ საკითხთან დაკავშირებით სამხედრო ექსპერტების აზრი გაიყო, ნაწილი მათგანის აზრით ეს შეიძლება იყოს კლასიკური საბრძოლო თვითმფრინავებისა და ტანკების ერის დასასრულის დასაწყისი. სამხედრო ექსპერტის ვახტანგ მაისაიას აზრით „იმის თქმა, რომ ტანკებმა და თვითმფრინავებმა ფუნქცია დაკარგეს არაა სწორი - ყველას თავისი ადგილი აქვს. უბრალოდ გამოჩნდა საბრძოლო წარმოების ახალი საშუალება, რომელიც ახალმა ტექნოლოგიებმა მოიტანა“. სწორედ ასეთი თანამედროვე ტექნოლოგიების (უპილოტო საფრენი აპარატები, ზეზუსტი საარტილერიო და რადიო ელექტრონული ბრძოლის საშუალებები) გამო მიიქცია მსოფლიოს ყურადღება სომხეთ-აზერბაიჯანის უკანასკნელმა კონფლიქტმა, რომელსაც „მომავლის ომების რეპეტიცია“ ეწოდა. ყარაბაღის კონფლიქტმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ის გამოწვევები, რომლის წინაშეც საქართველოს თავდაცვის ძალები დგას. იმისათვის, რომ საქართველო რეგიონში წარმოადგენდეს ერთ-ერთ ანგარიშგასანევ ძალას, საჭიროა განხორციელდეს თანამედროვე სტანდარტებზე გადაიარაღება და დოქტრინებში რამდენიმე ფუნდამენტალური ცვლილება. სწორედ ამ გამოწვევებზე იქნება საუბარი აღნიშნულ ნაშრომში.

საპასუხო სიმყვამი:

ყარაბაღის ომი. თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები. მცირე ჯგუფებად ბრძოლის ტაქტიკა. ამოცანით მართვა.

ABSTRACT

The development of technologies has always caused transfer of the war production in new dimension and irrelevance/exclusion of certain battle systems. Military operations, held during the last conflict of the Nagorno-Karabakh, have shown what outcomes may have the use of the latest military technologies in battle. Military experts' ideas related to this issue have divided, one part thinks that it might be the start to end classic battle aircrafts and tanks era. Military expert Vakhtang Maisaia thinks that "it is not correct to say that tanks and aircrafts have lost their function – each of them have their place. There simply are newer means of holding battles, that were brought by newest technologies". These latest technologies (Unmanned aerial vehicle, highly precise artillery and radio electronic battle means) attracted a world attention while the latest conflict between Armenia and Azerbaijan, which was called as the "rehearsal for the wars of future". The conflict in Karabakh has once more outlined those challenges, which Georgian defence forces have to face. In order to become one of the forces that should be taken into account in the region, Georgia should rearm to the newest standards and make several fundamental changes in doctrines. These are the challenges which will be discussed in the following thesis.

KEYWORDS:

War in Karabakh. Latest military technologies. Tactics for fighting in small groups. Mission command.

შესავალი

ტექნოლოგიური პროცესების განვითარება გავლენას ახდენს არა მარტო ცხოვრების წესზე, არამედ ომების წარმოების მეთოდებზე, ფორმებზე და მასშტაბებზე. სამხედრო საქმეში ისეთმა რევოლუციებმა, როგორიც არის დენთისა და ქაღალდის ტყვიის გამოგონება, ნაჭდევიანი ლულის, ტყვიამფრქვევისა და საარტილერიო საშუალებების შექმნა, სისწრაფეზე და მანევრირებაზე ორიენტირებულმა ბრძოლებმა - ბლიცკრიგი, პარადიგმული ცვლილებები შეიტანეს ბრძოლების განვითარებაში და შესაბამისად მსოფლიო ისტორიის მანძილზე მომხდარი ომები ოთხ თაობად დაიყო. მაშინ როდესაც დღეისათვის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთელი ყურადღება მიჰყრობილია მეოთხე თაობის - „ჰიბრიდულ ომზე“ და მისგან მომდინარე საფრთხეების დაძლევის გზებზე, სომხეთ აზერბაიჯანს შორის მომხდარმა 44 დღიანმა ომმა ახალ განზომილებაში გადაიყვანა ომის წამოების მეთოდები და სამხედრო ექსპერტთა ყურადღების ცენტრში მოექცა, რომლებმაც განსხვავებული შეფასებები გააკეთეს აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით. ქართველი სამხედრო ექსპერტის ვახტანგ მაისაიას აზრით „იმის თქმა, რომ ტანკებმა და თვითმფრინავებმა ფუნქცია დაკარგეს არაა სწორი - ყველას თავისი ადგილი აქვს. უბრალოდ გამოჩნდა საბრძოლო წარმოების ახალი საშუალება, რომელიც ახალმა ტექნოლოგიებმა მოიტანა“. სწორედ ასეთი თანამედროვე ტექნოლოგიების (უპილოტო საფრენი აპარატები, ზეზუსტი საარტილერიო და რადიო ელექტრონული ბრძოლის საშუალებები) გამო ყარაბაღის უკანასკნელმა ომს „მომავლის ომების რეპეტიცია“ ეწოდა.

ყარაბაღის კონფლიქტმა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა რომ თანამედროვე ომებთან მიმართებაში საქართველო თავდაცვის ძალები მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგას. სწორედ ამ გამოწვევებზე იქნება საუბარი აღნიშნულ ნაშრომში.

თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები

თანამედროვე ომებთან მიმართებაში საქართველოს თავდაცვის ძალების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ტექნოლოგიური განვითარება. 2020 წლის ყარაბაღის 44 დღიანმა ომმა ნათლად აჩვენა თუ რაოდენ დიდი უპირატესობა აქვს იმ მხარეს, რომელიც ტექნოლოგიური განვითარებით უფრო მაღლა დგას.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მთიან ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე აზერბაიჯანს შეიარაღებაში ჰქონდა ისრაელის და თურქეთის წარმოების 200-მდე სხვადასხვა მოდელის უპილოტო საფრენი აპარატი, რომელთა გარკვეული მოდიფიკაციებზე წარმოების ლიცენზიაც კი მოიპოვა (Новичков, 2020). მათი უმრავლესობა მთიან ყარაბაღში სადაზვერვო და სადაზვერვო-საბრძოლო ამოცანებს ასრულებდა. დრონები მართვის ცენტრს ვიდეოთვალის მეშვეობით პირდაპირ რეჟიმში აწვდიდნენ ყველა სახის ინფორმაციას. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უპილოტო საფრენი აპარატები არა მხოლოდ გადასცემდა მოპოვებულ ინფორმაციას, არამედ მათი მეშვეობით აგრეთვე ხორციელდებოდა მიზანჩვენება, დაზიანების შემდგომი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირების შეტანა, რაც საბოლოოდ ანადგურებდა სამიზნეს. აზერბაიჯანელი მხარის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეორგოლში (აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო, 2020) ნათლად ჩანს, თუ როგორ აღმოაჩენს უპილოტო საფრენი აპარატი სომხეთის საზენიტო სარაკეტო სისტემას („Tor-M2KM“), რომლის დანიშნულება საჰაერო სივრცის კონტროლი და მათ შორის უპილოტო საფრენი აპარატების წინააღმდეგ ბრძოლაა. გარდა სადაზვერვო დრონებისა აზერბაიჯანელი მხარე ასევე იყენებდა საბრძოლო დრონებსაც (Bayraktar TB2 და Haroop - ებრაული „კამიკაძე“ დრონები).

უპილოტო საფრენი აპარატების ასეთი წარმატება განაპირობებს თანამედროვე რადიო ელექტრონული ბრძოლის სისტემის და შორსმსროლელი ზეზუსტი არტილერიის კოორდინირებულმა მუშაობამ. დღეისათვის ისევე, როგორც საბრძოლო საშუალებების, ასევე ქვედანაყოფების მართვა ხორციელდება რადიოსიხშირეების და რადიოელექტრონული სიგნალების გამოყენებით, ამიტომაც თანამედროვე ომებში დიდი ყურადღება ეთმობა რადიო ელექტრონული ბრძოლის განხორციელებას. სწორედ ამ მიზნით აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენა თურქული წარმოების „KORAL“, რომელიც მანამდე წარმატებით იყო გამოყენებული სირიასა და ლიბიაში მომხდარი სამოქალაქო ომებში. რამაც საშუალება მისცა აზერბაიჯანს, რომ ჩაეხშო მოწინააღმდეგის სიღრმეში განლაგებულ საჰაერო თავდაცვის სისტემების სიხშირეები (GLOBAL DEFENSE CORP, 2020) და ამის შემდეგ უპილოტო საფრენი აპარატები თავისუფლად ასრულებდნენ თავიანთ ამოცანებს.

საარტილერიო ცეცხლის წარმოების კუთხით განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, ბელარუსიული სარაკეტო-საარტილერიო სისტემა Polonez, თურქული წარმოების Kasirga და მრავალმოდულიანი ბალისტიკური

სარაკეტო სისტემა „LORA“-ს გამოყენება. Polonez და Kasirga-ს მეშვეობით აზერბაიჯანულმა მხარემ გაანადგურა მოწინააღმდეგის სიღრმეში განლაგებული მაღალი ღირებულების მიზნები (საჰაერო თავდაცვის სისტემები; მართვის პუნქტები და ა.შ). რაც შეეხება ოპერატიულ-ტაქტიკური მინა-მინა კლასის ბალისტიკური სარაკეტო კომპლექსი „LORA“-ს, ის გათვალისწინებულია მოწინააღმდეგის ინფრასტრუქტურული ობიექტების გასანადგურებლად. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აზერბაიჯანმა მაღალი სიზუსტის ბალისტიკური სარაკეტო კომპლექსით „LORA“ იერიში მიიტანა მდინარე აკარზე გადებულ სომხეთ-ყარაბაღის დამაკავშირებელ ხიდზე. დასავლელი ექსპერტის ჯოზეფ ტრევიტიკის განცხადებით „თუ დადასტურდა, რომ ეს იყო ბალისტიკური სარაკეტო კომპლექსი „LORA“, მაშინ ეს არის ამ სარაკეტო კომპლექსის საბრძოლო გამოყენების პირველი შემთხვევა მსოფლიოში“ (arma.ge 2020).

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანის წარმატება მხოლოდ ერთი საბრძოლო სისტემით არ იყო განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ უპილოტოები ეფექტური საშუალებაა რათა აღმოჩენილი იქნას მოწინააღმდეგის სიღრმეში განლაგებული მაღალი ღირებულების მიზნები და სტრატეგიული ობიექტები, ცალკე აღებული მაინც ვერ იქნებოდა ასეთი ეფექტური. მათი ასეთი აღიარება განაპირობა რადიო ელექტრონული ბრძოლის, საჰაერო თავდაცვის და ზეზუსტი საარტილერიო-სარაკეტო საშუალებების კომბინირებულმა მოქმედებამ. გამომდინარე აქედან, თუკი საქართველო, თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით გადანაცვებს, რომ შეიძინოს უპილოტო საფრენი აპარატები, მხოლოდ მათი შეძენა არ იქნება ეფექტური. დრონები მოწყვლადები არიან ისევე როგორც ავიაციის, ასევე საჰაერო თავდაცვის საშუალებების მიმართ, ამიტომ მათი ეფექტურად გამოყენებისათვის საჭიროა, რომ ისინი მოქმედებდნენ რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების და საჰაერო თავდაცვის სისტემების ქოლგის ქვეშ.

მცირე ჯგუფებად ბრძოლის ტაქტიკა

თანამედროვე ომების კიდევ ერთი გამოწვევა არის საქართველოს თავდაცვის ძალების სტრუქტურული მონყოლა. მცირე რესურსების მქონე სახელმწიფოს (როგორც საქართველო) უსაფრთხოება ეჭვქვეშ დგება, როდესაც მას დაპირისპირება უწევს მასზე ძლიერ სახელმწიფოსთან, რომელიც აღმატებულია მასზე ისევე როგორც საბრძოლო საშუალებებით, ასევე ტექნოლოგიური განვითარებით. ასეთ დროს ტრადიციული კონვენციური ომით ბრძოლა საქართველოსთვის წამგებიანია. მან უნდა შეიმუშაოს ისეთი ინოვაციური მიდგომა, რომელიც აერთიანებს კონვენციურ და არაკონვენციურ ბრძოლის მეთოდებს. არაკონვენციური მეთოდებით ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი არის მცირე ტაქტიკური ჯგუფები და დეცენტრალიზებული მართვა. მცირე ჯგუფებად ბრძოლის ნათელი მაგალითია ავღანეთის ომი, სადაც საწყის ეტაპზე ავღანელი მოჯაჰედები დიდ საბრძოლო ჯგუფებად აწარმოებდნენ ბრძოლებს, მაგრამ მიხვდნენ რომ ეს მეთოდი წამგებიანი იყო და გადავიდნენ მცირე ჯგუფებით ბრძოლის ტაქტიკაზე. საქართველომ უნდა გამოიყენოს მთა-გორიანი რელიეფის უპირატესობა და ქვედანაყოფების სტრუქტურა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ქვედანაყოფებს ავტონომიურად შეეძლოთ თავიანთ მიმართულებებზე ოპერაციების ჩატარება. რაც საშუალებას მისცემს სამეთაურო რგოლს მიიღონ დამოუკიდებელი გადანაცვლებები და დაკისრებული ამოცანიდან გამომდინარე მშვიდობიანობის პერიოდში აამაღლონ საკუთარი ქვედანაყოფის საბრძოლო მომზადების დონე.

დღევანდელი საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებს თუ გადავხედავთ, დეცენტრალიზებულად მოქმედება მხოლოდ ბრიგადის დონეზე შეგვიძლია, ხოლო რაც შეეხება უფრო დაბალი ზომის ქვედანაყოფებს, აქ უკვე პრობლემები გვექმნება რესურსებში. საქართველოს ქვედანაყოფების სტრუქტურა ისე არის ჩამოყალიბებული, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს მცირე ზომის ქვედანაყოფებს მხარდაჭერას უწევს ზემდგომი, რაც დამოკიდებულს ხდის მასზე და ეს უკვე ცენტრალიზებულ მართვისაკენ მიგვანიშნებს. დეცენტრალიზებული მართვის დროს, კი მცირე ზომის ქვედანაყოფებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი მხარდამჭერი საშუალებები, რაც საშუალებას მისცემს მას, რომ იყოს უფრო მოქნილი, ბრძოლისუნარიანი და შეძლოს ოპერაციის დამოუკიდებლად შესრულება.

ასევე საინტერესოა ე.წ „კომანდოს“ ტაქტიკა, რომელიც 2001 წელს თალიბანის დაჯგუფების წინააღმდეგ იქნა გამოყენებული ამერიკული სადესანტო ჯგუფების მიერ, რომლებიც თალიბანის კონტროლირებად ტერიტორიაზე „ძებნისა და განადგურების“ ამოცანებს ასრულებდნენ. აღნიშნული ტაქტიკა ასევე წარმატებით გამოიყენა აზერბაიჯანმა სომხეთის წინააღმდეგ უკანასკნელი 2020 წლის კონფლიქტის დროს. „კომანდოს“ ჯგუფები სომხეთის თავდაცვის სიღრმეში იკავებდნენ როგორც გაბატონებული სიმაღლეებს, ასევე

დასახლებულ პუნქტებში მიტოვებული სახლებს და ახდენდნენ მიზანჩვენებს საავიაციო და საარტილერიო სისტემებისთვის. ასევე მცირე-მცირე შეტევებით მუდმივ სტრესში ჰყავდათ მოწინააღმდეგე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკუთარი ქვედანაყოფების სტრუქტურები იმდაგვარად უნდა ჩამოაყალიბოს, რომ შეძლოს მოწინააღმდეგის მუდმივი ზეწოლის ქვეშ ყოფნა, რომელიც თავის მხრივ გამოიწვევს მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის ფსიქოლოგიურ-მორალურ დეგრადირებას, რომელიც შესაძლებელია მოწინააღმდეგის შემაკავებელი ეფექტიც გახდეს. აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელია კარგად მომზადებული კომანდოს ტიპის ქვედანაყოფებით, რომლებსაც შეეძლება ისევე როგორც სადაზვერვო ამოცანების შესრულება, ასევე მთაგორიან და ტყიან რელიეფზე მუდმივი შემანუხებელი და ქირურგიული ოპერაციების ჩატარება.

ამოცანით მართვა

„ამოცანით მართვა“ - ცენტრალიზებული დაგეგმვა და დეცენტრალიზებული შესრულება წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში. 2018 წელს საქართველოს მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ერთ-ერთ სხდომაზე ისაუბრა ამოცანით მართვის ეფექტურობაზე „ეს არის აბსოლუტურად ახალი მიდგომა, სადაც აქცენტი მცირე ზომის ტაქტიკურ ქვედანაყოფებზე გავითქვამს. მის მეთაურს ავტონომიურობისა და ნდობის მაღალი ხარისხი ექნება, რათა ცენტრალიზებულად განსაზღვრული გეგმები დეცენტრალიზებულად აღასრულოს“ (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 13 ივლისი 2018). „ამოცანით მართვა“ საშუალებას აძლევს მეთაურებს, რომ ჩამოაყალიბდეს ისეთ ლიდერებად, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძლებენ ამოცანის შესრულებას/გაგრძელებას. სწორედ ამიტომაც გაამახვილა ყურადღება თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნულ მართვის სტილზე, და გადაწყვიტა მისი დანერგვა თავდაცვის ძალებში. ისევე როგორც ნებისმიერი ახალი სტილი, „ამოცანით მართვის“ დანერგვის პროცესიც თავის მხრივ მოიცავს მთელ რიგ გამოწვევებს.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც „ამოცანით მართვის“ დანერგვის პროცესს თან ახლავს, არის საკანონმდებლო ბაზა (ბრძანებები, მეთაურის მითითებები, დოქტრინები და ა.შ). როდესაც დეცენტრალიზებულ მართვაზე და უფლებამოსილების დელეგირებაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია გადავხედოთ ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში გადაცემული უფლებამოსილება იმ უფლება-მოვალეობასთან, რომელიც დაქვემდებარებულს გააჩნია მშვიდობიანობის დროს. მაგალითად: სერჟანტს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი კურსი და ნასწავლი აქვს საცეცხლე მომზადება (დანყებულის იარაღის დაშლა-აწყობით, დამთავრებული საცეცხლე ბანების მოწყობით და სროლის ჩატარებით) არა აქვს უფლება ჩაატაროს სასწავლო სროლები. ამ დროს საომარი მოქმედებების დროს, საცეცხლე ათეულის მეთაურს ევალება, რომ თავისი ათეულის ცეცხლით მხარი უნდა დაუჭიროს ოცეულის ოპერაციას. ამიტომ „ამოცანით მართვის“ დანერგვის პროცესში საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა საკანონმდებლო ბაზაში.

დასკვნა

საბოლოოდ, ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების შეჯამება ცხადყოფს, რომ ყარაბახის კონფლიქტის სახით თანამედროვე ომებმა სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოს თავდაცვის ძალები. იმისათვის, რომ რეგიონში საქართველო წარმოადგენდეს ანგარიშგასაწევ ძალას, აუცილებელია მოხდეს ტექნოლოგიური გადაიარაღება, რომელიც ისევე როგორც „ამოცანით მართვის“ იმპლემენტაცია, ხანგრძლივი პროცესია და რომელთა განხორციელებაც მოითხოვს სისტემურ და თანმიმდევრულ ძალისხმევას. საქართველოს ბიუჯეტიდან გამომდინარე ძალიან რთულია ყველა კომპონენტის ერთდროულად განვითარება. საწყის ეტაპზე უნდა განხორციელდეს საჰაერო თავდაცვის სისტემების მოდერნიზება და დანარჩენი კომპონენტები უნდა განხორციელდეს გრძელვადიან პერსპექტივაში ეტაპობრივად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო. 2020. Azerbaijan, Ermenistan'ın Tor-M2KM uçaksavar füzesi sistemini imha etti / 9 Kasım 2020. 9 ნოემბერი, 2020. YouTube ვიდეო, 1:43.
https://www.youtube.com/watch?v=Bg5_lzYD-tY (02.06.2021)
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2018. ლევან იზორია: „მეთაურს უნდა ჰქონდეს ავტონომიის მაღალი ხარისხი“ (13 ივლისი)
<https://mod.gov.ge/ge/news/read/6703/levan-izoria:-metaurs-unda-hqondes-avtonomiis-magali-xarisxi> (31.05.2021)
3. Arma.ge. 2020. „ისრაელის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი„LORA“-ს პირველი საბრძოლო გამოყენება ყარაბაღის კონფლიქტში“. (04 ოქტომბერი).
<http://arma.ge/2020/10/04/4252/> - (30.05.2021)
4. GLOBAL DEFENSE CORP. 2020. „Video Shows How Armenian missile systems Were Disrupted By Electronic Attacks.“ 24 ნოემბერი, 2020. ვიდეო, 0:43.
<https://www.globaldefensecorp.com/2020/11/24/video-shows-how-armenian-missile-systems-were-disrupted-by-electronic-attacks/> (31.05.2021)
5. Новичков, Николай. 2020. „Война дронов. Азербайджан продемонстрировал применявшиеся в Нагорном Карабахе беспилотники“ (14 დეკემბერი).
<https://tass.ru/armiya-i-opk/10244145> (31.05.2021)

[illegible]

[illegible]

შენიშვნები
NOTES

[illegible]



სსიკ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
ISBN 978-9941-8-3695-4